

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ხათუნა ბოლქვაძე

მოზარდობის პერიოდში სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: განათლების აკადემიური დოქტორი,
ასოც. პროფესორი - რომან აბაშიძე

ბიჭაური
2021

ანოტაცია

ხათუნა ბოლქვაძის ნაშრომში „მოზარდობის პერიოდში სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები,“ განხილულია თუ რას მოიცავს მოზარდის ცნება, მისი შინაარსი, როგორც ბიოლოგიური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით; ნაშრომში ასევე დაწვრილებით არის აღწერილი მოზარდობის ასაკში ხასიათის აქცენტუაციის თავისებურებები, მასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის საორიენტაციო საშუალებები. სამაგისტრო ნაშრომი მდიდარია არგუმენტირებული დასკვნებისა და საჭირო რეკომენდაციებისაგან, რომლებიც დაეხმარება პედაგოგებსა და მშობლებს მოზარდების სწავლა-აღზრდის საკითხებთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრაში.

ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

Annotation

Khatuna Bolkvadze's work "Problems related to learning and upbringing during adolescence and ways to solve them," discusses what is involved in the concept of adolescence, its content, both biologically and psychologically; The paper also describes in detail the peculiarities of character accentuation in adolescence, the problems associated with it and the orientation tools for solving them. The master's thesis is rich in reasoned conclusions and necessary recommendations to help teachers and parents solve problems related to adolescent education.

The paper consists of an introduction, four chapters, a conclusion and references.

სარჩევი

ანოტაცია	2
Annotation.....	Error! Bookmark not defined.
შესავალი.....	5
რა არის მოზარდობა?.....	8
მოზარდთა ფსიქოლოგია	17
ხასიათის აქცენტუაცია.....	21
სწავლება და მასთან დაკავშირებული პრობლემები.....	31
რეკომენდაციები მოზარდებთან ურთიერთობისას.....	32
დასკვნა	47
გამოყენებული ლიტერატურა:	50

შესავალი

თემის აქტუალობა გამომდინარეობს მოზარდებში არსებული სწავლის დონის შედეგებიდან. სკოლებში ფართოდ არის გავრცელებული ზოგადი განათლების ხარისხის დონის განმსაზღვრელი ტესტები, რომელიც საჭიროა კლასიდან კლასში გადასასვლელად- მათი შედეგები კი ცუდია ხშირ შემთხვევაში, რაც წარმოშობს საჭიროებას ვიცოდეთ, რით არის განპირობებული ეს და რა უნდა გავაკეთოთ ამის შესაცვლელად. ასევე, თანამედროვე სამყაროში ფართოდ არის გავრცელებული სახლში სწავლის მეთოდი, რის შემდეგაც ბავშვი უბრალოდ აბარებს საშუალო სკოლის დასრულებისათვის განკუთვნილ გამოცდებს და იღებს სკოლის დასრულების დიპლომს ისე, რომ ერთხელაც არ სჭირდება მივიდეს სკოლაში. ასეთი ბავშვების შედარებამ ბავშვებთან, რომლებიც სკოლაში დადიან და ისე ასრულებენ სკოლას, საბოლოოდ მოგვცა შედეგი, რაც ამბობს რომ შემდგომ საუნივერსიტეტო სწავლებისას, ვისაც სკოლაში არ უვლია, მათი მხოლოდ 3% ახერხებს წარმატებით დაასრულოს უნივერსიტეტი, ხოლო მათ ვინც დადიოდა მათი 48%. (ტაფი პ. 2014 გვ. 16).

კვლევები აჩვენებს ასევე, რომ მოზარდობის ასაკამდე ბავშვები უკეთ მეტად სწავლობენ, ხოლო როცა მოზარდობის ასაკს აღწევენ, მათი შედეგები რაღაც ოდენობით უარესდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა მოზარდი ერთნაირი არაა და მათ ამ ასაკში ხშირად აქვთ ფიზიკური, გონებრივი, სოციალური კრიზისი, რაც დიდ ზემოქმედებას ახდენს მათ ცხოვრებაზე. ბავშვები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კულტურით, აღზრდით და მრავალი სხვა რამით, რასაც ვერ ითვალისწინებენ მათი აღმზრდელები და მასწავლებლები, რაც ასევე ზემოქმედებას ახდენს ბავშვთა განათლების დონეზე.

წარმატებულ თუ წარუმატებელ შედეგს ყველას თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს და უნდა ვიკვლიოთ, რა არის ამის მიზეზი. ჩვენი მიზანია სწორედ ამ მიზეზების პოვნა და მათი აღმოფხვრა, რაც მოზარდებს, მშობლებსა თუ აღმზრდელებს დაეხმარებათ ამ პრობლემათა მოგვარებაში და განათლების ხარისხის ამაღლებაში.

კვლევის მიზანი მნიშვნელობა და მოსალოდნელი შედეგები

კვლევის მიზანია არსებული პრობლემის არსში ჩაწვდომა, პრობლემის საფუძვლის გაგება და შესწავლა და ამის საფუძველზე რეკომენდაციის გაცემა; რაც დაეხმარება, როგორც მასწავლებლებსა და აკადემიური წრის წარმომადგენლებს, ასევე მშობლებსა და აღზრდელობითი საქმიანობით დაკავებულ ადამიანებს.

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ კითხვებია:

1. რა არის მოზარდობაში სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები?
2. რა იწვევს მოზარდობაში სწავლასთან დაკავშირებულ პრობლემებს?
3. როგორ შევძლებთ ამ პრობლემებთან გამკლავებას?

ჰიპოთეზა

1. მოზარდობაში სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები გარემოებების ბრალია;
2. მოზარდობაში სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები აღზრდიდანაა გამოწვეული;
3. მოზარდობაში სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები ასაკისა და ჰორმონების ბრალია.

კვლევის ადეკვატური მეთოდები

კვლევის ძირითად მეთოდად არჩეულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, რაც დაგვეხმარება საკვლევ პრობლემის მიზეზის დადგენაში, ასევე მის სიღრმისეულ შესწავლაში, ანალიზსა და სწორი დასკვნების გამოტანაში. კონკრეტული მეთოდები კი შემდეგნაირად შეიძლება დავახასიათოთ:

1. სამაგიდო კვლევა - ეს მეთოდი დაგვეხმარება აქამდე „მოზარდობის პერიოდში სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების“ საკითხთან არსებული კვლევებისა და ინფორმაციების გადამუშავებასა და ანალიზში, რასაც შემდგომ შევაპირისპირებთ სხვადასხვა კვლევებთან და დასკვნებთან.

2. დოკუმენტების ანალიზი - მოვახდენთ სხვადასხვა ნამუშევრებისა და კვლევების გადახედვასა და გაანალიზებას.

3. ქრონოლოგიის შედარებითი ანალიზი - დაგვეხმარება წლებისა და განვითარების მიხედვით ვიკვლიოთ, როგორ იცვლებოდა მდგომარეობა ამ მიმართულებით წლებისა თუ ათწლეულების მიხედვით.

თავი I

რა არის მოზარდობა?

მოზარდობის პერიოდი იყოფა ორ ნაწილად: უმცროსი და უფროსი ასაკის მოზარდობად. უმცროსი მოზარდობის ასაკია ათიდან თოთხმეტი წლის ასაკამდე. უფროსი მოზარდობა კი მოიცავს თოთხმეტიდან თექვსმეტი წლის ჩათვლით ასაკს.

მოზარდობის ასაკში მიმდინარეობს განვითარების სხვადასხვა მიმართულებები, როგორცაა:

1. ფიზიკური განვითარება;
2. კოგნიტური განვითარება;
3. ფსიქო-სოციალური განვითარება.

ფიზიკური ცვლილებები გამოიხატება სხეულის ზრდით, ფორმათა ცვლილებით, უვითარდება რეპროდუქციული სისტემა და ა.შ. ეს არის პერიოდი, როცა სხეული ყველაზე მეტი სისწრაფით იცვლება. აღსანიშნავია ისიც, რომ გოგონები მოზარდობისას უფრო ადრე განიცდიან სხეულის სიმაღლისა და ფორმების ცვლილებას, ვიდრე ბიჭები. სიმაღლეში სწრაფი ზრდა და ფორმათა ცვლა იწვევს მოუქნელობას მოზარდებში. სწორედ ამ და სხვა ფიზიკურ ცვლილებებს აკონტროლებს ენდოკრინული ჯირკვლები. ეს ჯირკვლები გამოიმუშავენენ ქიმიურ ნივთიერებებს, რასაც ჰორმონებს უწოდებენ. ჰორმონები გამოიყოფა სხეულის ერთ ნაწილში და იგი გადაადგილებით ახდენს ზეგავლენას სხეულის სხვა უჯრედებზე. ჰორმონები იყოფიან კატეგორიებად, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებებით ახორციელებენ ზეგავლენას, ესენია: ზრდის ჰორმონი - იგი პასუხისმგებელია ყველა ქსოვილის განვითარებაზე(გამონაკლისია გენიტალიები და ცენტრალური ნერვული სისტემა) და იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში აქტიურია და არ წყვეტს ფუნქციონირებას(მაგ: ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში ეზრდება ცხვირი). მაგრამ ზრდის ჰორმონი ყველაზე მეტად აქტიურია მოზარდობის პერიოდში და როცა სხეული უკვე აღწევს საჭირო სიმაღლეს, იგი წყვეტს გაზრდას. მოზარდებისთვის დამახასიათებელია ძვალ-სახსროვანი და კუნთოვანი სისტემის

სწრაფი განვითარება. შედეგად კი მსხვილი და ნატიფი მოტორული მოქმედებების განხორციელება ნელ-ნელა უფრო ზუსტი და დახვეწილი ხდება. ჰორმონალური ცვლილებების საფუძველზე კი იწყება სექსუალური მომწიფება და მეორადი სასქესო ნიშნების განვითარება. ასეთი აშკარა, თვალშისაცემი ცვლილებების გამო მოზარდები ხშირ შემთხვევაში თავს არაკომფორტულად გრძნობენ. ყველა მოზარდს ფიზიკური განვითარების თავისი ინდივიდუალური რიტმი აქვს. შესაბამისად, შესაძლოა ადრეული ან გვიანი მომწიფება ხელისშემშლელი აღმოჩნდეს თანატოლებთან ურთიერთობის პროცესში. რადგანაც, ფიზიკურ განვითარებასთან ერთად იცვლება მოზარდთა ინტერესებიც.

ჰორმონები არეგულირებენ მეტაბოლიზმს(ნივთიერებათა ცვლა), იგი გავლენას ახდენს სხეულის ზრდაზე, ხასიათსა და სასქესო ნიშან-თვისებებზე. ჰორმონები ძლიერ ზემოქმედებას ახდენენ ორგანიზმის ყოველდღიურ ქმედებებზე, იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიცოცხლის გარკვეულ პერიოდებში და ზოგიერთი განსაკუთრებული სიტუაციის დროს. ისინი გავლენას ახდენენ სხეულის ზრდაზე. განსაზღვრავენ და ხელს უწყობენ პირველადი და მეორადი სასქესო ნიშნების განვითარებას. სიფხიზლესა და ყურადღებაზეც ჰორმონები ახდენენ გავლენას. ჰორმონები ხშირად არიან გუნება-განწყობილებისა და ხასიათის შეცვლის საფუძველი. ჰორმონები მეტაბოლიზმთან ერთად არეგულირებენ სხეულის ენერგეტიკულ დანახარჯებს. იგი ორგანიზმს ეხმარება ინფექციებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში. ის ხელს უწყობს სახეობების გადარჩენას მათი სექსუალური აგზნების რეგულირების, რეპროდუქციული უჯრედების წარმოქმნის, მემბურ დედებში რძის გამომუშავებით. ეფექტური და ჯანსაღი ენდოკრინული სისტემის გარეშე ადამიანის გადარჩენა შეუძლებელია.

ენდოკრინული ჯირკვლები(სხეულის სისტემა, რომელიც ქიმიური ნივთიერებების, ჰორმონების, მეშვეობით არეგულირებს უჯრედებსა და ორგანოებს) სისხლში ქიმიური ნივთიერებების დონეზე რეაგირებენ ან მათი სტიმულირება სხვა ჰორმონებისა თუ თავის ტვინიდან მომავალი ნერვული იმპულსების მიერ ხდება. ჰორმონები სისხლში გამოიყოფა და სამიზნე უჯრედებისკენ მიემართება. ჰორმონები ქიმიური რეგულაციის მიხედვით გათვალისწინებულ ზემოქმედებას მხოლოდ სხეულის გენეტიკურად განსაზღვრულ ადგილებში ავლენენ, თუმცა ზოგიერთ

ორგანოებსა თუ ქსოვილებზე გავლენით უამრავ ბიოქიმიურ პროცესს არეგულირებენ. ის აკონტროლებს მუდმივად მიმდინარე პროცესებს, როგორებიცაა, სისხლში შაქრის დონის განსაზღვრა, კალციუმის შემცველობა, ნახშირწყლების მეტაბოლიზმი და სხეულის ზრდა. სხვადასხვა ჯირკვალის სხვადასხვა ჰორმონს გამოყოფს, რომელიც სხეულის სხვადასხვა ფუნქციას არეგულირებს. ასე მაგალითად, ჰიპოფიზი(შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი), რომელსაც „მთავარ ჯირკვალს“ უწოდებენ, ათ სხვადასხვა სახის ჰორმონს გამოიმუშავებს, რომელიც ყველა სხვა ენდოკრინული ჯირკვლის სეკრეტორულ ფუნქციაზე ახდენს გავლენას.

მამაკაცებში ჰიპოფიზში გამომუშავებული ჰორმონები სათესლეებში ტესტოსტერონის(მამაკაცის მთავარი ანდროგენული ჰორმონი) სინთეზს ააქტიურებენ. ჰიპოფიზის ჰორმონები მამაკაცების მეორადი სასქესო ნიშნების ჩამოყალიბებაშიც მონაწილეობენ, ხმის შეცვლა და ფიზიკური სიმწიფე. ტესტოსტერონმა, ხშირად შესაძლოა, აგრესიის გაძლიერებაც გამოიწვიოს.

ქალებში ჰიპოფიზის ჰორმონები ესტროგენის(ქალური სასქესო ჰორმონები) წარმოებას ასტიმულირებენ. ესტროგენი ოვულაციასა და ქალის ნაყოფიერებას განსაზღვრავს.

კოგნიტური განვითარება გულისხმობს ადამიანის ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორიცაა: მეტყველება, აზროვნება მეხსიერება და სხვა მრავალი. კოგნიტური განვითარება თერთმეტი წლის ასაკიდან იწყება, როცა მოზარდი ცდილობს არა კონკრეტული საგნებით აღიქვას გარემო ფაქტორები, არამედ ლოგიკური კავშირი იპოვოს ინფორმაციასა და საგნებთან მიმართებაში. მათ ამ პერიოდში უვითარდებათ დაკვირვებისა, მსჯელობის და ახალ იდეათა წამოყენების უნარი. ისინი ამ დროს უერთდებიან რეალურ სამყაროს და ანალიზებენ ფაქტებს, რაც აძლევს შესაძლებლობას გამოიტანონ სხვადასხვა დასკვნები ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ რიგ ბავშვებს უვითარდებათ საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი არგუმენტით ან რაიმე სხვა სახით, როცა სხვას შეიძლება განუვითარდეს ვარაუდის უნარი სხვადასხვა დაკვირვების შედეგად ისე, რომ არ ჰქონდეს რეალური ხელჩასაჭიდი.

კოგნიტური განვითარებისას მოზარდები უფრო მეტად ორჭოფობენ და შეაქვთ ეჭვი მათსა და ასევე სხვის ვარაუდებში, რაც დადებით რეაქციადაა შეფასებული. აზროვნების განვითარების ეს ტიპი, როცა ბავშვი აანალიზებს და ეჭვი შეაქვს ან აიდევალებს რაღაცას, პროოზიციული აზროვნების უნარია.

ამასთან ერთად ვითარდება აბსტრაქტული აზროვნების უნარი - რომელიც ეგოცენტრიზმისკენ არის მიდრეკილი. პიაჟეს აზრით, როცა აზრი შეაქვთ საკუთარ მოსაზრებებში - ეს საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის ქონას ნიშნავს და სწორედ ესაა ეგოცენტრიზმის ნიშანი.

მოზარდებს სჯერათ, რომ ისინი მუდამ ყურადღების ცენტრში არიან და რომ მათით ყველა ინტერესდება, აკვირდება ან უსმენს. ზოგისთვის ასეთი მდგომარეობა მისაღები და მოსაწონია, ზოგი კი უხერხულობაში ვარდება და იბნევა.

მოზარდობის სამ ტიპს გამოყოფენ, რომელთაც ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთ მოზარდობისას და ეს მოსდევთ მათ ბავშვობიდან, რაც გამოიხატება აღზრდის მეთოდებში, ესენია: მოზარდები, რომელთაც ბავშვობაში მეტისმეტად მკაცრად და უსიყვარულოდ ექცეოდნენ მშობლები და ოჯახის წევრები, ისინი რომელთაც მეტისმეტად განებივრებულები იყვნენ და რომლების განუვითარებელი ორგანოებით დაიბადნენ. სამივე ტიპის მოზარდებს ახასიათებთ არასრულფასოვნების გრძნობა - რომელსაც ისინი უპირისირებიან ამბიციურობით ან უპირატესობებისკენ მისწრაფებით, რაც ორივე დამღუპველია.

მოზარდებს კოგნიტური განვითარებისას გადაწყვეტილების მიღებისა და გადაფასების უნარი უვითარდებათ . მათ შეუძლიათ გააანალიზონ და გადააფასონ მდგომარეობა, თუ რამდენად კარგია ან ცუდი და გამოიტანონ გადაწყვეტილება. მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ხშირად ურთულდებათ, რადგან მათ არ გააჩნიათ საკმაო ცოდნა და გამოცდილება. მოზარდების ქცევები ხშირ შემთხვევაში იმპულსურია, განიცდიან სტრესს ახალი მოსალოდნელი ცვლილების გამო და მათ თავზე დაკისრებულ მოვალეობებსა თუ პასუხისმგებლობებს ტვირთად თვლიან.

მოზარდი ცდილობს საკუთარი თავის შეცნობას და შეფასებას, რასაც ადარებს მის იდეალებს. ეს მათთვის არის თვითგამორკვევის პერიოდი, როცა უყალიბდებათ საკუთარი მე. ეს უკვე ის პერიოდია, როცა ადამიანი ბავშვი აღარ არის, მაგრამ არც ზრდასრულია. ერიკსონის აზრით კი, ამ დროს ხდება ადამიანში იდენტობის აღრევა

რულურ მესთან. ადრეული მოზარდობის პერიოდი დაკავშირებულია დამოუკიდებლობის მიღწევის მოთხოვნილებასა და იდენტობის ჩამოყალიბების პროცესთან. მოზარდებს სურთ იყვნენ განსაკუთრებულები, განსხვავებულები. ეს პერიოდი ხასიათდება გუნება-განწყობის და ქცევის ხშირი ცვლილებებით, შფოთვით, არათანმიმდევრულობით. ისინი უკიდურესად მტკივნეულად რეაგირებენ შენიშვნაზე. ერთის მხრივ, ცდილობენ იმოქმედონ ზრდასრულების მსგავსად, თუმცა მძიმე ემოციურ სიტუაციებში მოხვედრისას, შესაძლოა, გამოავლინონ ინფანტილური/ბავშვური ქცევა. ასეთი ემოციური არამდგრადობისას კი შესაძლებელია მიიღონ იმპულსური გადაწყვეტილებები, რაც არასასურველი შედეგით დასრულდება. მოზარდებს სწამთ, რომ მათი გამოცდილება, გრძნობები, პრობლემები უნიკალურია და ვერავინ გაუგებს მათ.

ახალგაზრდებში იწყება ფსიქო-სოციალური განვითარება. მოზარდის საქციელები ნელ-ნელა იცვლება და ყალიბდება. იგი აყალიბებს საკუთარ პიროვნებას და ადგენს საკუთარ სოციალურ გარემოს თუ როგორი ურთიერთობები უნდა რომ ჰქონდეს მათთან.

მოზარდობა ესაა ცვლილებების, გაზრდის, განვითარების, სიახლეების, გადაწყვეტილების მიღების, ღირებულებების გადაფასების პერიოდი, რაც მოზარდს აყენებს უზარმაზარი დილემის წინაშე მოუმზადებლად. სწორედ ამიტომ მათ ხასიათში ამ დროს ხშირია სირთულებების გამოხატვა, რომელსაც ისინი ვერ აცნობიერებენ. მნიშვნელოვანია ამ დროს გარემო, რომელსაც მოზარდს ვუქმნით, რათა მარტივად და დადებითი შედეგით გადაიტანოს მან ეს პერიოდი. ასეთ გარემოს შეიძლება ქმნიდეს: ოჯახი, მეგობრები, სკოლა, მასწავლებლები და ა.შ.(თევდორაშვილი 2010:46-47)

ინტელექტუალური განვითარება თვალსაჩინო არ არის, თუმცა ისეთივე ინტენსიურია, როგორც ფიზიკური ცვლილებები. ამ დროს იცვლება აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის სტილი. მოზარდები იწყებენ ფიქრს იდეებზე, აბსტრაქტულ მოვლენებზე, აფასებენ პრობლემას უფრო მასშტაბურ და კომპლექსურ ჭრილში. განვითარების ეს პერიოდი ხშირად ხასიათდება განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობის გამოხატვით, ინტერესების მრავალფეროვნებით, ძირითადი ღირებულებების ჩამოყალიბებით. მოზარდები უმეტეს შემთხვევაში სიამოვნებით

სწავლობენ მხოლოდ იმ საკითხებს, რაც მათთვის არის საინტერესო. ისინი მსჯელობენ იდეოლოგიურ საკითხებზე, ცდილობენ საკუთარი პოზიციის დასაბუთებას. ამავე დროს უმჯობესდება იუმორის გაგების უნარიც.

მოზარდთა ასაკის მიხედვით შემდეგნაირად შეიძლება გამოვყოთ მათთვის დამახასიათებელი თვისებები:

11 წლის მოზარდთათვის დამახასიათებელია გუნება-განწყობის სწრაფი ცვალებადობა. აგრესიული, ბრაზიანი და კონფლიქტურია. ცდილობს საკუთარი თავის წარმოჩენას და ეჯიბრება სხვებს. ამ პერიოდში მოზარდები გამოირჩევიან დამაბული ურთიერთობებით, როგორც ოჯახის წევრებთან ისე თანატოლებთან.

12 წლის ასაკში მოზარდს უკვე შეუძლია საკუთარი თავის მართვა. აგრესია შედარებით კლებულობს, მაგრამ ისევ ცდილობს რომ წარმოაჩინოს საკუთარი თავი და სხვებზე შთახეჭდილება მოახდინოს. ამ ასაკში იგი უკვე საკუთარი თავის ძეხნით არის დაკავებული და შედარებით სევდიანია. მოზარდი იწყებს სამომავლოდ ფიქრსა და გეგმების შედგენას. საკუთარ თავს ობიექტურად აფასებს და ურთიერთობებიც უფრო მშვიდი დალაგებული აქვს. როცა

13 ხდება ხდება ნაკლებად კომუნიკაბელური და უფრო მეტი მონდომებით ცდილობს საკუთარი თავის შესწავლას. აქვს საიდუმლოებები და მარტოდ ყოფნას ამჯობინებს. უკვე ეწყება დეპრესიისაკენ და იმედგაცრუებისაკენ. ისინი და-ძმებთან კარგი ურთიერთობით გამოირჩევიან, მაგრამ მშობლებთან ცუდი ურთიერთობა აქვთ. ეს ის ასაკია, როცა ცდილობენ რომ თავი უკვე მოზრდილებად წარმოაჩინონ და იზრუნონ სხვებზე.

14 წლის მოზარდები ხასიათის სწრაფი ცვალებადობით გამოირჩევა. იგი პრეტენზიული და აღზნებულია. აინტერესებს სხვისი აზრი, ზრუნავს თავის გარეგნობაზე და თანატოლებს ადარებს საკუთარ თავს. მოზარდები ამ ასაკში უკვე დამოუკიდებლობისაკენ მიილტვიან და მშობლების კრიტიკასაც არ ერიდებიან. ერთი ასაკის და-ძმებს აქვთ დამაბული ურთიერთობა. ბიჭებისთვის ამ ასაკში გოგონები იმდენად საინტერესო არ არიან, რამდენადაც გოგონებისათვის ბიჭები.

15 წლის ასაკში მოზარდები მეტად არიან მიდრეკილნი გააკრიტიკონ ყველა და ყველაფერი. ისევ ხშირად ეცვლება ხასიათი და რთული ურთიერთობაა აქვს მშობლებთან. ისინი ცდობლობენ თვითდამკვიდრებას და პოპულარულობას. ამ

დროისათვის მოზარდების ურთიერთობები მეგობრებთან და და-ძმასთან შედარებით კარგი ხდება.

16 წლის ასაკში მოზარდი უკვე მომთმენი, კეთილგანწყობილი და მეტად დამთმობია. მიისწრაფვის წარმატებისაკენ და ადგენს სამომავლო გეგმებს. ზრუნავს საკუთარ გარებგნობაზე და დარწმუნებულია საკუთარ შესაძლებლობებში. მეგობრებთან კარგი ურთიერთობა აქვს და მშობლებთანაც უმუჯობესდება ურთიერთობა. (მელიქიშვილი 2013: 55- 56.)

ფსოქო-სოციალური განვითარება

ადრეული მოზარდობის ასაკობრივ საფეხურზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება თანატოლებთან ურთიერთობა და მათი დამოკიდებულება. მოზარდებს უნდათ, რომ ჰქონდეთ რომელიმე სოციალურ ჯგუფთან მიკუთვნებულობის განცდა. მათთვის მოზარდობამდე თუ მნიშვნელოვანი იყო უფროსთა აზრები, ახლა უპირატესია თანატოლებთან ურთიერთობა. ისინი სოციალური სტატუსის მოსაპოვებლად კი სხვადასხვა ხერხით იბრძვიან, რომელთაგან ზოგიერთი შესაძლოა არასასურველი და სახიფათოც კი იყოს. ამ პერიოდში აქტუალური ხდება რომანტიული ცხოვრება. ერთის მხრივ, დამოუკიდებლობის წყურვილი და ამავე დროს, მშობლებზე დამოკიდებულება განაპირობებს მოზარდებში პროტესტის განცდას.

რაც შეეხება ნერვულ სისტემას, გარდამავალ ასაკში აგზნებისა და შეკავების პროცესები არ არის გაწონასწორებული. აგზნება უფრო მეტად ჭარბობს შეკავებას. აგზნების პროცესი ხშირ შემთხვევაში ისეთი ძლიერი და ინტენსიურია, რომ მოზარდს ძალა არ ჰყოფნის მის შესაკავებლად. აგზნების პროცესები ერთბაშად ვლინდება, დიდი ენერგიით მიმდინარეობს ორგანიზმში, მაგრამ სწრაფადვე ხდება მისი ჩაცხრობა. დიდი ცვლილებები ხდება მოზარდის გულ-სისხლძარღვთა სისტემის განვითარებაში. მოზარდის გული მნიშვნელოვნად იზრდება ზომაში, უფრო ძლიერდება, მაგრამ სისხლძარღვთა დიამეტრი კი ზრდაში ჩამორჩება მას, რის გამოც მოზარდებს ხშირად აღენიშნებათ თავბრუსხვევები, თავის ტკივილი, გულისცემის გახშირება, სისუსტე და ადვილი დაღლაღობა. მოზარდების გაზარდაცებასთან დაკავშირებული პრობლემები სწორედ გულ-სისხლძარღვთა სისტემაში მიმდინარე ცვლილებებით არის გამოწვეული.

ადამიანის შეხედულებები, ღირებულებები, იდეოლოგია მოზარდობაში უყალიბდება. ადრეული მოზარდობის პერიოდში ჩამოყალიბებული ღირებულებები, ხედვები მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვება ხოლმე ადამიანს. ამ ასაკში ახასიათებთ მოვლენების იდეალისტური ხედვა და მაღალი სამართლიანობის გრძნობა. ისინი იწყებენ საკუთარი გადმოსახედიდან მოვლენების, ადამიანების შეფასებას, სვამენ საკმაოდ რთულ კითხვების სამყაროს შესახებ და უარს ამბობენ მარტივ პასუხებზე.

მოზარდებისათვის მნიშვნელოვანია სოციალიზაცია. ისინი ხდებიან სოციალური ჯგუფის წევრი (ოჯახი, თემი, საზოგადოება). სოციალიზაციაში მოიაზრება, კონკრეტული სოციალური ჯგუფის ღირებულებების ან თუნდაც მოლოდინების, განწყობების, ჩვეულებების, როლების ათვისება. სოციალიზაციის მიმდინარეობის შედეგად ყალიბდება ღირებულებების, განწყობების, მოლოდინების, ჩვევების ბირთვი, რის შედეგადაც ბავშვი ყალიბდება უკვე მოზრდილ ადამიანად.

სოციალიზაცია აღიქმება როგორც ორმხრივი, რეციპროკული პროცესი. უ. ბრონფებრენერის აზრით (განვითარების ეკოლოგიური მოდელი), მზარდი ინდივიდი აქტიურად ახდენს თავისი ცხოვრებისეული გარემოს ჩამოყალიბებას და ასევე განიცდის გარემოს ზეგავლენას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს არა მარტო მისი თვითრეალიზაციისადმი ტენდენცია, არამედ ისიც, თუ როგორ აფასებენ მას სხვა ადამიანები. დროთა განმავლობაში ადამიანებს მოსწონთ ის რაც, მათ “სავარაუდოდ” უნდა მოსწონდეთ და იქცევიან ისე, როგორც “სავარაუდოდ” უნდა იქცეოდნენ. ეს არის სოციალური ზეგავლენის შედეგი.

სოციალიზაციის პროცესი ადამიანებს ეხმარება გარემოსთან ადაპტირებაში. იგი ეხმარება ადამიანებს მოერგონ საზოგადოებას, მაგრამ ამავდროულად ახშობს მათი თვითრეალიზაციის ტენდენციას და უმახინჯებს თვითგანცდას.

გარდატეხის ასაკში არის განვითარების სხვადასხვა ნიშნები და მათგან ესებინგამოირჩევა:

- უხერხულობის განცდა, სიმორცხვე;
- უკმაყოფილება, როგორც საკუთარი თავით ისწ გარშემომყოფებით;
- გრძნობებისა და აზრების პოზიციური არამდგრადობა;

- იმპულსურობა;
- უხალისობა;
- მოზღვავედული ემოციები და სწრაფი აგზნება;
- სტრესი;
- სოციალური განვითარება;

თავი II

მოზარდთა ფსიქოლოგია

ხასიათი და განწყობა თითქოს მსგავსია ერთმანეთის, თუმცა ეს სრულებითაც არ არის ასე. ხასიათი გამოხატავს ადამიანის პიროვნულ თვისებებს, რომელთაც იგი ბავშვობიდან მოყოლებული იძენს. განწყობა კი მომენტალური ემოციური მდგომარეობაა, რომელსაც მდგომარეობიდან და გარემო პირობების ზეგავლენის საპირისპიროდ ამჟღავნებს ადამიანი. მოზარდობის ასაკში ხასიათსა და განწყობას სწორედ მათი ფსიქოლოგია განაპირობებს. ეს ფსიქოლოგია კი გამომუშავებულია ბავშვობაში გადატანილი გამოცდილებიდან, რასაც ემატება ახალი გამოცდილებები და წინაღობები. არიან მოზარდები, რომელთაც არ აქვთ ფსიქოლოგიური პრობლემები, ასეთი მოზარდები უმეტეს შემთხვევაში არ განიცდიან სიახლეებთან და ახალ დაბრკოლებებთან შჯახების შიშს. ზოგიერთი მოზარდი ინტერესით უდგება ამ სიახლეებს, ზოგს კი უჭირს თავს დამტყდარ ამდენი სიახლის გადახარშვა. მოზარდები, რომელთაც პრობლემები აქვთ სწავლასთან, გარემოსთან, საზოგადოებასთან და მრავალ სხვა რამესთან, ხშირად აქვთ მათ ფსიქოლოგიური პრობლემები. ეს არ არის ჩვეულებრივი ხალხისათვის ერთი შეხედვით მისახვედრი და გასაგები, მაგრამ პროფესიონალთა თვალი ამას მარტივად ამჩნევს მათი ქცევით. (უზნაძე 2015:168-169)

ფსიქოლოგიაში განასხვავებენ ცნობიერების ბინდისებრი შეცვლის ჰალუცინაციურ, ბოღვით და დისპორიულ ვარიანტებს, რომელთაგან ზოგიერთი ხშირად ვლინდება მოზარდებში. მაგ: ამბულატორიული ავტომატიზმი ბავშვებისა და მოზარდებისთვისაა დამახასიათებელი, იგი წარმოადგენს სომნამბულიზმს ანუ ლუნატიზმს. ცნობიერების სომნამბულიური შეცვლის დროს მოზარდი ღრმა ფიზიოლოგიური ძილის მდგომარეობაში ვარდება და იგი იწყებს სიარულს და გამიზნულად ახდენს სხვადასხვა მოქმედებებს, მას ამ დროს შეუძლია ჩაიცვას ტანსაცმელი, გადაადგილოს სხვადასხვა ნივთები და ა. შ.

პიროვნული აშლილობის სახეს, როგორცაა დისჰარმონია - საფუძველი ეყრება ბავშვობაში და მოზარდობის ასაკში.

ისეთი ფსიქოლოგიური დარღვევა, როგორცაა პარანოიდული პიროვნების აშლილობა, როცა ადამიანს ახასიათებს უნდობლობა, ეჭვიანობა სხვების მიმართ, როცა პიროვნება მის მიმართ სხვების ქცევაში ხედავს მტრულად განწყობილ განზრახვებს და ა.შ. ამგვარი აშლილობაც იწყება ადრეულ ბავშვობასა და მოზარდობაში. ამდაგვარი აშლილობა განსხვავებული კონტექსტით ვლინდება, რითაც შეგვიძლია ამოვიცნოთ იგი - ესენია: უსაფუძვლო შიში და უნდობლობა, უსაფუძვლო ეჭვი, უსაფუძვლო და მცდარი მნიშვნელობის მინიჭება ან ინტერპრეტაცია მოვლენების და სხვების შენიშვნების და გამონათქვამების მიმართ, წყენის გულში ჩამოდება, უსამართლობის ან თუნდაც შენიშვნების უპატიებლობა.

მოზარდობაში ხშირია შიზოიდური ფსიქოპათიური დარღვევები - შიზოიდური პიროვნების აშლილობა, რასაც ახასიათებს სოციალური ურთიერთობებისგან გარიყულობა და ემოციების გამოხატვის მწირი და შეზღუდული უნარი. ამ დროს მოზარდები გაურბიან ახლო ურთიერთობებს სხვებთან ოჯახის წევრების ჩათვლით, მათ ძალიან ნაკლებად ან საერთოდ არ სურს და არც ახარებს სოციალური კონტაქტები. ისინი ირჩევს განმარტოებულ საქმიანობას, არაფერი არ უხარია, ახლო მეგობრები თითქმის არ ჰყავს და ენდობა მხოლოდ უახლოეს პირველი რიგის ნათესავს, გულგრილია სხვების კრიტიკისა და შექების მიმართ, ახასიათებს ემოციურ სიცივე, არაფერზე არ არის იგი მიჯაჭვული და ა.შ. შიზოიდური ფსიქოპათია მოზარდებში გამოიხატება პიროვნების ხასიათობრივ თავისებურებაში, როგორცაა - გაუბედაობა, მორიდებულობა, სიმორცხვე, უკონტაქტობა, ინერტულობა, ერიდებიან ურთიერთობას საზოგადოებასთან, გაურბიან ხალხმრავალ შეხვედრებსა და ადგილებს, რაც შეეხება “რომანტიკულ” ურთიერთობებს ბევრ წინააღმდეგობას უქმნის მათ პირად ცხოვრებაში. შიზოიდი არის ინტროვერტის საბოლოო ფორმა, რაც იწყება მოზარდობის ბოლო პერიოდში. ინტროვერტებს ახასიათებთ ახლო ურთიერთობების არც სურვილი და არც სიამოვნება, ისინი ირჩევენ განმარტოებულ აქტივობებს, მცირედი სიამოვნების მიიღება - ან საერთოდ ვერ მიიღება, ძალიან ცოტა მეგობრების ყოლა ან საერთოდ არ ყოლა, გულგრილები არიან სხვების შექების ან კრიტიკისადმი, ახასიათებთ ემოციური სიცივე და დისტანციურობა.

მოზარდებში ვლინდება პიროვნების შიზოტიპური დარღვევები, მათ ახასიათებთ: დამოკიდებულების იდეები რომლებიც დამოკიდებულების ბოძვით ხასიათდება, მათი აზრები იდეების დონეს არ აღწევს, აქვთ უჩვეულო ახირებული უცნაური რწმენა ან მაგიური აზროვნება, რომელიც მათ ქცევაზე მოქმედებს და არ შეესაბამება მათ სუბკულტურის ნორმებს, ექცევიან ცრურწმენების გავლენის ქვეშ, სჯერათ ნათელმხილველების, ტელეპატების და სწამთ, რომ არსებობს მეექვსე გრძნობა. ასეთ ადამიანებს ბავშვობასა და მოზარდობაში აქვთ უჩვეულო და უცნაური ფანტაზიები და გატაცებები, მათ აქვთ სხეულში უჩვეულო შეგრძნებები და განცდები სომატური ილუზიების ჩათვლით, ახასიათებთ უცნაური აზროვნება და მეტყველება, ეჭვიანობა და პარანოიდული განწყობა, არიან არაადეკვატურები ან აქვთ შეზღუდული აფექტები, მათი ქცევა და გარეგნობა არის უჩვეულო და განსაკუთრებული. მოზარდებში შიზოტიპური პიროვნების აშლილობისას ვლინდება სოციალური და ინტერპერსონალური ურთიერთობების დეფიციტი, მოზარდებს ახასიათებს ახლო ურთიერთობების მწვავე დისკომფორტი ან სხვებთან ახლო ურთიერთობების უუნარობა აქვთ. შიზოტიპური აშლილობისას ხდება კოგნიტური და პერცეპტული დარღვევები და ექსცენტრიული ქცევა, რაც იწყება მოზარდობის პერიოდში და ხასიათდება: დამოკიდებულების იდეებით, მაგიური აზროვნებით, უჩვეულო შეგრძნებები, სხეულებრივი ილუზიებით, ახასიათებთ უცნაური ლაპარაკი და აზროვნება, უკიდურესი ეჭვიანობა, შეუსაბამო აფექტური მდგომარეობა, უცნაური ექსცენტრული ჩაცმულობა და ქცევა, არ ჰყავთ ახლო მეგობრები, ახასიათებთ სოციალური შფოთვა, მათ არ აქვთ შეჩვევის მომენტი და არც ნეგატიურად შეფასების შიში.

ასევე მოზარდობაში ყალიბდება ისეთი ფსიქოლოგიური დარღვევა, როგორცაა - მოსაზღვრე პიროვნების დარღვევები. იგი ვლინდება საკუთარ თავზე წარმოდგენის, აფექტების და ინტერპერსონალური ურთიერთობების არასტაბილურობაში, რასაც ახასიათებს იმპულსურობა, გამბედავი ძალისხმევა, ახასიათებთ არასტაბილური, ინტენსიური, ინტერპერსონალური ურთიერთობები, რომელიც ხასიათდება ან იდეალიზაციით ან სრული დამცირებით, აქვთ პრობლემები იდენტურობასთან, სუიციდალური ქცევა, აფექტური არასტაბილურობა, სიცარიელის ქრონიკული განცდა, არაადეკვატური - ინტენსიური

ბრაზი, როცა არ შეუძლიათ ბრაზის კონტროლი, პერიოდული სტრესი და პარანოიდული აზრები.

ისტერიოიდული ფსიქოპათიისას ვითარდება ისტერიული რეაქციები. ისტერიული ფსიქოგენური რეაქციები შესაძლოა განუვითარდეთ არაისტერიული პიროვნებების თავისებურებების მქონე ადამიანებსაც. ისტერიული პიროვნებების ქცევაში აშკარად ჩანს ემოციური ფონის დომინირება ფსიქიკის სხვა სფეროებზე. აფექტურ რეაქციებს თან ახლავს თეატრალური, დრამატული შესტიკულაცია, ცრემლები, ოხვრა, ხმამაღალი სიცილი და აღფრთოვანება. ამავე დროს ემოციები გამოირჩევიან ზედაპირულობით. ისტერიკის მომწყობთა ხასიათის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს წარმოადგენს ეგოცენტრიცში და მუდმივი ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილი.

ნარცისტული პიროვნების დარღვევები ახასიათებთ, როცა მოთხოვენ, რომ თაყვანი სცენ, ისინი განადიდებენ საკუთარ თავს და მათში ჭარბობს უსაზღვრო წარმატების, ძალაუფლების, მშვენიერების, იდეალური სიყვარულის ფანტაზიები. სწამთ, რომ არიან განსაკუთრებულები, განუმეორებლები, რომ ისინი დაკავშირებულნი უნდა იყვნენ სხვა განსაკუთრებულ და მაღალი სტატუსის მქონე ხალხთან ან დაწესებულებებთან.

აქვე არიან დამოკიდებული პიროვნებები, რომელთაც ხანგრძლივი და უკიდურესი მოთხოვნილება აქვთ სხვების მიერ მასზე მზრუნველობის, ეს კი მათში იწვევს დაქვემდებარებულ, სხვებზე მიწებებულ და დამოკიდებულ ქცევას და განშორების შიშს.

თავი III

ხასიათის აქცენტუაცია მოზარდებში და მათთან მუშაობის სტრატეგიები

აქცენტუაცია არის ფსიქიკური მდგომარეობა, რაც ზოგიერთი თვისებების განსაკუთრებული გამოხატვით და გამმაფრებით აღინიშნება. იგი ზრდის ფსიქოგენური დაავადებების წარმოშობის რისკს. აქცენტუაცია არის მიდრეკილი პათოლოგიებისადმი და იგი ახლოს არის პიროვნების აშლილობასთან. აქცენტუაცია ხელს არ უშლის პიროვნებას სოციალურ ადაპტაციაში, მაგრამ მეტ ნაკლებად ზღუდავს ადამიანს, იწვევს პიროვნების მოწყვლადობას და ფსიქიკური გადახრებს. აქცენტუალური ადამიანები მუდამ მზად არიან იყვნენ განსაკუთრებულნი, როგორც დადებითად ისე უარყოფითად. აქცენტუაცია განისაზღვრება ტოტალურობით, შედარებით სტაბილური ხასიათით და სოციალური დეზადაპტაციით. აქცენტუაციის დროს დარღვევები ჩნდება გარკვეული ფსიქიკური ტრავმების შედეგად. იგი ვითარდება ხასიათის ჩამოყალიბების პერიოდში - გარდატეხის პერიოდში. აქცენტუაცია ზრდასთან ერთად მშვიდდება, თუმცა არ ქრება. აქცენტუაცია ხელსაყრელ სიტუაციაში ვლინება, თუ ხელსაყრელი მდგომარეობა არ შეექმნა, შესაძლოა შეუმჩნეველიც დარჩეს. (მელიქიშვილი 2013 : 79-80)

აქცენტუაცია ხასიათდება არამდგრადობით, გართობის წყურვილით, მხიარულებით, სარისკო თავგადასავლებში გახვევით. ციკლოიდურ აქცენტუაციისას ხასიათდება : სუბდეპრესიული ფაზებით, აპათიით, სუიციდისკენ გადახრით, გამლიერებული დაღლილობის გრძნობით და გაღიზიანებადობით. .

აქცენტუაციური ხასიათისას ზოგ შემთხვევაში ადამიანი ძალიან კარგად არის, შემდგომ ამისა ცუდად ხდება. თუ რამოდენიმე დღე მისთვის შესანიშნავია, მომდევნო რამოდენიმე დღე დეპრესია ემართება და ა.შ. არსებობს აქცენტუაციის მოკლე და გრძელვადიანი ფაზებიც. მოზარდებს ამ დროს ახასიათებთ უკიდურესი მგრძნობიარეობა და საკუთარი თავის გამლიერებული უკმარისობის გრძნობა, ჩაკეტილობა, გარემოსგან გამოთიშვა ან თუნდაც კონტაქტის დამყარების უუნარობა, გაუბედაობა, აკვიატებული შიშები, ქმედებები, რიტუალები, აზრები და იდეები.

მოზარდი გაუწონასწორებელია, როცა საქმე ეხება სწავლას, ვალდებულებებს, მიზნების მიღწევას ან საზოგადოებასთან ურთიერთობას. თუმცა გასართობის მიზნისას ის არ არიან აგრესიული. ისინი ისტერიულები არიან და ელიან ყურადღების ცენტრში ყოფნას.

ხასიათის აქცენტუაციის მიხედვით არსებობს ადამიანთა მრავალი ტიპი, კ. ლეონგარდი გამოყოფს 10 ძირითადს, ხოლო 20 შერეულ ტიპს. ხასიათის ტიპები და მახასიათებლები შემდეგია: ჰიპერთემიული ტიპი- ხასიათდება მოზარდთა აქტიურობით, დამოუკიდებლობით და სიცელქით. ისინი მიდრეკილი არიან ლიდერობისაკენ და ცდილობენ, რომ წარმოაჩინონ საკუთარი თავი. მუდამ კარგ ხასიათზე არიან და არ უჭირთ უცხოებთან ურთიერთობა. ჰიპერთემიული მოზარდებისათვის ძლიერი მახასიათებლებია იყვნენ კომუნიკაბელურები, აქტიურები, ოპტიმიზმით აღსავსე, გულუხვები, გამძლეები, მოხერხებულები რთულ მდგომარეობისას, მათ არ აქვთ შინაგანი კონფლიქტები და მუდამ მზად არიან, რომ აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე. მაგრამ მათაც აქვთ სუსტი მხარეები ესენია: ისინი მეტისმეტად ზედაპირულები არიან და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ კანონს ან მორალს, უპასუხისმგებლოები, რისკიანები და თავქარიანები არიან. ასეთი მოზარდებისათვის საპროტესტო რეაქციებს იწვევს, როცა სთხოვ მორჩილებას, უმოქმედობას, მარტოობას ან ზედმეტად თუ ზრუნავენ მასზე. ამ დროს იგი ავლენს სიბრაზესა და აგრესიას. ჰიპერთემიული მოზარდებისათვის დამახასიათებელია საკუთარი თავის არა საუბარში არამედ საქციელებში გამოვლენა, ამიტომ, როცა ისინი ბრაზობენ, შეიძლება რაიმე უკიდურესობაც კი ჩაიდინონ. (მელიქიშვილი 2013 : 83-84)

ჰიპერთემიული მოზარდებისათვის მნიშვნელოვანია შეუქმნათ ისეთი სიტუაცია, სადაც შეძლებს იყოს აქტიური და წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები. რაც შეეხება კონტროლს, მისი ყოველდღიურობა უფრო დიდ პრობლემებში ჩააგდებს მოზარდს, ამიტომ უნდა ვიქონიოთ ზომიერი დამოკიდებულება მოზარდთან კონტროლისა და რჩევების მიცემის დროს.

კ. ლეონგარდის მიხედვით დემონსტრაციულ ტიპს ახასიათებს ეგოცენტრიზმი და ითხოვს, რომ სხვები იყვნენ მუდამ ყურადღებიანი და აღფრთოვანებულნი მისით. არ უყვართ, როცა მათ მიმართ ხალხი უყურადღებობას და გულგრილობას იჩენს, ამას

უჯობთ სძულდეთ ან ეზიზღებოდეთ მაინც იგი. იმისათვის რომ, სხვისი ყურადღება მიიქციონ, ისინი მრავალ უსინდისო ხრიკის მიმართვაზეც კი არ ამბობენ უარს. მათ ძლიერ მხარეს წარმოადგენს: მიზანმიმართულობა, კომუნიკაბელურობა, გონებაგახსნილობა, აქტივობა, შეუპოვრობა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღება, ლიდერობა, დამოუკიდებლობა, ორგანიზატორული უნარ-ჩვევები, მათ გააჩნიათ კარგი ინტუიცია და არტისტიზმის მაღალი დონე. მათთვის სუსტ და მტკივნეულ მხარეს წარმოადგენს, როცა უყურადღებობას განიცდის, სხვისი ყურადღების მისაქცევად შეუძლია გადადგას გაუმართლებელი ნაბიჯები და წავიდეს გაუმართლებელ რისკზეც კი. დისკომფორტი, დემაგოგია, ინტრიგების ხლართვა, ტყუილი, პირფერობა, ჭირვეულობა, დაუდევრობაც მისი სუსტი მხარეებია. მას ექმნება კონფლიქტური მდგომარეობები და პროტესტის გრძნობა უჩნდება, როცა გულგრილები არიან მის მიმართ, როცა აკრიტიკებენ, როცა იძულებულია მართო იყოს. ამ და სხვა მისთვის მიუღებელი მდგომარეობის საპასუხოდ მან შეიძლება მიმართოს შანტაჟს, მუქარას და ა.შ. (მელიქიშვილი 2013 : 84-85)

დემონსტრაციული ტიპის მოზარდებს უნდა ვაგრძნობინოთ რომ გვანტერესებს მისი პიროვნება, მაგრამ ზედმეტი ყურადღებაც არ უნდა გამოვიჩინოთ. ყველაფერი ზომიერი უნდა იყოს მათთან ურთიერთობაში. მხოლოდ მაშინ უნდა შევაქოთ, როცა ამას ისინი ნამდვილად იმსახურებენ და არა ყოველთვის, რათა არ ჩამოუყალიბდეს და გაუგრძელდეს საკუთარი მესადმი გაიდევლების მდგომარეობა.

ფსიქოსტენიური ტიპის დროს დამახასიათებელია შფოთვა, სიფრთხილე, გაუბედაობა. იგი მიდრეკილია ეჭვიანობისა და თვითანალიზისაკენ. ფსიქოსტენიური ტიპისათვის ძალიან რთულია მიიღონ გადაწყვეტილებები, ისინი პესიმისტები არიან და მუდამ წარუმატებლობის მოლოდინი აქვთ. მათ ძლიერ მხარედ ითვლება დისციპლინურობა, მოწესრიგებულობა, კეთილსინდისიერება, სერიოზულობა, პასუხისმგებლიანობა, ზრუნვა, წვრილმანებში დაზუსტება და გადამოწმება. ისინი ასევე მიჯაჭვულები არიან ახლობელ ადამიანებზე. მათთვის სუსტ მხარეს წარმოადგენს - გაუბედაობა, აკვიატებული იდეები, ინიციატივის არ ქონა, საკუთარი თავის განსჯა და თვითკრიტიკა. მათთვის კონფლიქტური მდგომარეობა იქმნება გადაწყვეტილების მიღებისას, ყურადღების სწრაფი

კონცენტრაციისას, როცა მკაფიოდ არ ჩანს თუ რა უნდა გააკეთონ, როცა კრიტიკის ობიექტია, ფსიქოლოგიური და ფიზიკური გადატვირთვის დროს ან როცა საშიშ ან შფოთვით მდგომარეობაში ვარდება. ასეთი და სხვა კონფლიქტური სიტუაციების საპასუხოდ ისინი ბუზღუნებენ, თავს იდანაშაულებენ, უფრო გაუბედავები ხდებიან.

მნიშვნელოვანია, რომ დავეხმაროთ ასეთ მოზარდებს გაუბედაობის დაძლევაში და შეუქმნათ მშვიდი და კომფორტული გარემო. ასევე შეუქმნათ ისეთი სამუშაო პირობები, სადაც არ არის ცნობილი წინასწარ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების საჭიროების შესახებ - მათ ნელ-ნელა ხელი უნდა შეუწყოთ ინიციატივის გამოჩენასა და პატარ-პატარა და უმნიშვნელო გადაწყვეტილებების მიღებაში.

ეპილეპტოიდური ტიპისთვის დამახასიათებელია ნელი აზროვნება, მეტისმეტი სისუფთავის და წესრიგის სიყვარული(პედანტიზმი), სევდიანობა, ბრაზის დაგროვება (ბოღმა), არის ავტორიტარი და უმნიშვნელო რამეზეც შეუძლია რომ გაბრაზდეს და ამ ბრაზმა დიდი ხნით არ გაუაროს. უყვარს საკუთარი ნივთები და ვერ იტანს, როცა ვინმე ეხება მათ. ეპილეპტოიდური ტიპისათვის ძლიერ მხარეს წარმოადგენს მოწესრიგებულობა, დისციპლინურობა, მომჭირნეობა, პუნქტუალობა, შეუპოვრობა, ყურადღებიანობა წვრილმანებში, გამძლეობა, მიდრეკილია ყველაფერი აკეთოს ზედმიწევნით. ამ ტიპის ადამიანების სუსტ მხარეს წარმოადგენს დამაბულობის რთულად გადატანა, გადაჭარბებული მოთხოვნები სხვების მიმართ, უგრძობლობა, სისასტიკე. კონფლიქტური სიტუაცია რომ არ შეიქმნას, ასეთი ხასიათის მოზარდს არ უნდა შეუზღუდოთ დამოუკიდებლობა, არ უნდა ხელყვით მათი უფლებები და ინტერესები, თავმოყვარეობა არ უნდა შეულახოთ, უნდა შეუსრულოთ, რასაც დავპირდებით ან არ უნდა დავპირდეთ, არ უნდა შეიცვალოს დადგენილი წესები და ნორმები, არ უნდა შევზღუდოთ მისი ძალაუფლება და ავტორიტეტი, რასაც იგი იყენებს სხვებზე ზემოქმედებისათვის. თუკი ასეთი რამ მოხდა კონფლიქტური სიტუაციისას, მისი მოსალოდნელი რეაქციები შემდეგია: დაადანაშაულოს ყველა და ყველაფერი, თუმცა არასდროს საკუთარი თავი. კონფლიქტისას იქნებიან დაუნდობლები ისე, რომ შემდგომ აღარც კი შეიძლება ახსოვდეთ თუ რა ჩაიდინეს. ასევე მათ ახალიათებთ შურისძიება. (მელიქიშვილი 2013 : 86-88)

ეპილეპტოიდური ტიპის მოზარდებთან უნდა ვიყოთ ტაქტიანები, ყურადღებიანი და დინჯები. მასთან უნდა დავამყაროთ ურთიერთობა, როცა მისი აფექტური მდგომარეობა დასრულდება. უნდა დავასაქმოთ ისეთ გარემოში, რაც შეუმსუბუქებს დაძაბულობას. ასევე შეგვიძლია მას მივანდოთ მცირე ჯგუფთა მართვა.

ლაბილური ტიპის მახასიათებლებია: მდგომარეობის მიხედვით განწყობის ცვლილება. სწორედ ამ გუნება განწყობილებაზეა დამოკიდებული დღის განმავლობაში მისი შრომისუნარიანობა, მადა, სურვილები, ვინმესთან ერთად დროის ტარების თუ მარტოდ ყოფნის სურვილი და ა.შ. ისინი მეგობრებთან მომთხოვნები არიან, რათა გაუგონ და მოუსმინონ, მაგრამ ისინი ასევე უსაზღვროდ ერთგულები არიან. მათი ხასიათის ძლიერ მხარეს წარმოადგენს: გულწრფელობა, გულისხმიერება, თანაგრძნობა, კომუნიკაბელურობა, მადლიერება, კეთილგანწყობა და სხვ. სუსტ მხარეებს რაც შეეხება, ისინი არიან ფეთქებადი ხასიათის, აქვთ კონფლიქტისაკენ მიდრეკილება და გამოირჩევიან თვითკონტროლის სისუსტით. ლაბილური ტიპის ადამიანები კონფლიქტურ მდგომარეობაში ხვდებიან მაშინ, როცა ძლიერია კონკურენცია, როცა ღირებულებებისა და გრძნობების შემლახავი სიტუაციაა - მიუხედევად იმისა, ეს მის ღირსებას ეხება თუ სხვისას, როცა ხდება ისეთ გარემოში, სადაც ყველა მის განწყობის საპირისპიროდ არის განწყობილი, ასევე, როცა განიცდის მუქარასა და შიშს, ახლობელი ადამიანების დაკარგვას და ა.შ. ამ ქცევათა საპირისპიროდ კი ლაბილური ტიპის მოზარდებისაგან უნდა ველოდოთ, რომ ისინი საკუთარ თავს არ დაიდანაშაულებენ არავითარ შემთხვევაში და ყოველგვარ წარუმატებლობას გარე მიზეზებს მიაწერენ.

ასეთ მოზარდებთან ურთიერთობისას რეკომენდირებულია: გამოვავლინოთ მათ მიმართ ემპათია(თანაგრძნობა, თანაგანცდა), მასთან მაშინ უნდა ვიურთიერთოთ, როცა კარგ გუნება-განწყობილებაზეა. მნიშვნელოვანია, რომ გარშემომყოფებმა ყურადღება მიაქციონ და ემოციურად მხარი დაუჭირონ. რადგანაც ასეთი ტიპის ადამიანებში ქედმაღლობა არ სუფევს, შეგვიძლია შევაქოთ ხოლმე, რითაც იგი ერთგვარ მხარდაჭერას იგრძნობს. თუკი ჩვენ მას ვაგრძნობინებთ

თანაგრძნობას და მხარდაჭერას, მას მალე გაუვლის ყოველგვარი დათრგუნვა და დეპრესია.

სენსიტიური ტიპის ადამიანები გამოირჩევიან მაღალი მგრძნობელობით, ახასიათებთ შფოთვა და აქვთ არასრულფასოვნების კონპლექსი. ისინი უპირატესობას ანიჭებენ სიმშვიდეს და აქვთ საკუთარ თავთან მაღალი მორალური მოთხოვნები. ისინი მიჯაჭვული არიან ახლობელ ადამიანებზე და უხერხულად გრძნობენ თავს უცხო საზოგადოებაში. მათ ადრეულ ასაკშივე უყალიბდებათ ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის განცდა, თუმცა არ არიან საკუთარ თავში დარწმუნებულნი. სენსიტიური ტიპის ადამიანების ძლიერ მხარეს წარმოადგენს - დისციპლინა, პასუხისმგებლობის გრძნობა, სიკეთე, სიმშვიდე, ვალდებულების გრძნობა, კეთილსინდისიერება, თვითკრიტიკულობა, აქვს მაღალი მოთხოვნები საკუთარ თავთან, იგი ასევე მუდმივად ცდილობს დაძლიოს საკუთარი სისუსტეები, ასეთ ადამიანებს ახასიათებთ რეალურობა და არა სიყალბე და მოჩვენებითობა. ისინი მუდამ ყურადღებიანი არიან სხვების მიმართ და განიცდიან სხვის დარდს, როგორც საკუთარს. მათ სუსტ მხარეებს წარმოადგენს ჩაკეტილობა, ეჭვიანობა, მშიშრობა, დაბნეულობა რთულ სიტუაციაში, მიდრეკილება აქვს თვითგანადგურებისაკენ, აქვს არასრულფასოვნების კომპლექსი, ბუტიაა და კონფლიქტური. სენსიტიურ მოზარდებს კონფლიქტური სიტუაციები ექმნებათ დაცინვისას, საჯაროდ დადანაშაულებისა და გაკიცხვისას, როცა ეჭვობს, რომ ვინმე ცუდად მოიქცა და როცა ამჩნევს, რომ ვინმე ყურადღებას იჩენს მის მიმართ, მაგრამ ეს ყურადღება არ არის კეთილგანწყობილი. მოზარდებისგან საპასუხოდ ამ შემთხვევებისა უნდა ველოდოთ პროტესტის გამოხატველ რეაქციებს, ასევე მიდრეკილნი არიან საკუთარი თავი დაადანაშაულონ ყველაფერში - მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი არაობიექტურები არიან. ასევე უკიდურეს მდგომარეობაში შეიძლება მათი საპასუხო რეაქცია თვითმკვლელობა იყოს. (მელიქიშვილი 2013 : 90-92)

სენსიტიური ტიპის ადამიანებთან ურთიერთობისას რეკომენდირებულია, დავეხმაროთ საკუთარი თვითშეფასების ამაღლებაში. მათ სჭირდებათ საკუთარი მოსაზრებები და განცდები გაუზიარონ სხვებს. ამიტომ უნდა მოვუსმინოთ მათ ყურადღებით, ვესაუბროთ, გვეკონდეს სიტუაციების დეტალური ანალიზი. უნდა დავეხმაროთ, რათა შეძლონ საკუთარი ეჭვებისა და არასრულფასოვნების დაძლიება.

აქცენტუაციის კიდევ ერთი სახეა არამდგრადი ტიპი. მისთვის ძირითადად დამახასიათებელია ნებისყოფის არქონა, ენთუზიაზმის ნაკლებობა, მშიშარა, უჭირთ მარტივი რამის ათვისებაც კი და არ არიან დაინტერესებული სწავლით, მარტივად ექცევიან სხვისი გავლენის ქვეშ, მიდრეკილება აქვთ გართობისაკენ და უსაქმურობისაკენ. ასეთი ადამიანების ხასიათის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ყურადღების სწრაფი გადატანა და რეაგირება, არიან ცნობისმოყვარენი და კომუნიკაბელურები, კეთილები და ა.შ. სუსტი მხარეები კი არის უპასუხისმგებლობა და უნებისყოფობა, უაზრო საუბარი, დროის ფუჭი ფლანგვა, მშიშრობა და ტრაბახი. ასეთი ტიპის ადამიანებისათვის კონფლიქტური სიტუაცია იქმნება მაშინ, როცა აიძულებენ იყოს დისციპლინის ქვეშ, როცა დიდი ხნით უწევს ყურადღების კონცენტრირება ერთ საკითხზე. ასევე კონფლიქტურ სიტუაციაში ვარდება მაშინ, როცა აკისრებენ პასუხისმგებლობას და უწევს გადაწყვეტილებების მიღება, ურთიერთობების შეზრუდვა. ამ და სხვა კონფლიქტური სიტუაციის საპროტესტოდ მოზარდებისაგან მოსალოდნელია - დადანაშაულება ყველასი, გარდა საკუთარი თავისა, აქვთ ასევე ფარული და არა ღია პროტესტის გრძნობა, ისინი იქცევიან ისე, როგორც მათ გარშემო მყოფი საზოგადოება.

არამდგრადი ტიპის მოზარდთან ურთიერთობისას უნდა ვიყოთ მომთმენები, თანმიმდევრული და მტკიცენი. ისინი უნდა იყვნენ მუდმივი კონტროლის ქვეშ და ყურადღებიანად უნდა მოვექცეთ მათ. მათთვის მკაცრად განსაზღვრული რეჟიმი უნდა შევიმუშავოთ, რათა შეძლონ მათი სისუსტეების აღმოფხვრა. რადგანაც ისინი უსაქმურობისაკენ არიან მიდრეკილნი, არ უნდა მივცეთ უფლება საქმიანობას თავი აარიდონ და არ შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა.

ციკლოიდური ტიპის მოზარდებისათვის დამახასიათებელია - გუნება-განწყობის მონაცვლეობა, მსუბუქი დეპრესია, შრომის ნაყოფიერების დაქვეითება. მათი ხასიათის ძლიერი მხარეა: პოზიტიურობა, კომუნიკაბელურობა, ინიციატივის საკუთარ თავზე აღება. სუსტი მხარეები კი არის - გაუწონასწორებელი ხასიათი, გულგრილობა, არათანმიმდევრულობა, სწრაფი გაღიზიანება, სევდიანობა, ძალის ნაკლებობა. ისინი კონფლიქტურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან მაშინ, როცა ახლობლები მის ემოციურ მდგომარეობას სწორად ვერ აფასებენ და არ ღებულობენ

მას. ციკლოიდური ტიპის მოზარდების რეაქცია კი შეიძლება იყოს შემდეგი - პროტესტის გრძნობა ან საკუთარი თავის მიმართ აგრესია.

ასეთ მოზარდებთან ურთიერთობისას რეკომენდირებულია: მხარი დავუჭიროთ, დავეხმაროთ, ვესაუბროთ ხშირად მის ხასიათზე და იმაზე, თუ როგორ შეუძლია გამოიმუშაოს კონტროლის უნარი.

ასთენონევროტული ტიპის მოზარდთათვის დამახასიათებელია სწრაფი დაღლა და სწრაფი გაღიზიანება, ასევე მიდრეკილები არიან დეპრესიისაკენ და ჯანმრთელობას მეტისმეტ ყურადღებას აქცევენ. არ უყვართ ახლო ურთიერთობები და თანატოლებთანაც არ ატარებენ დიდ დროს. საკუთარ თავში დარწმუნებულნი არ არიან და ეჭვი შეაქვთ საკუთარ შესაძლებლობებში. არიან კაპრიზიანი და გამაღიზიანებლები. მათი ძლიერი მხარეა დისციპლინირებულობა, მოწესრიგებულობა, მეგობრულობა, მორიდებულება, საკუთარი ძალების გადაფასების უნარი, მგრძნობელობის მაღალი დონე. ისინი ცუდ რაღაცეებს მარტივად ივიწყებენ და გულში არ იღებენ. ასთენონევროტული ტიპის მოზარდებისთვის სუსტ მხარეს წარმოადგენს: პრეტენზიულობა, თაცდაცვისუნარიანობის არქონა, დაბალი თვითშეფასება, ინიციატივის არქონა და ხშირი ტირილი. მათთვის კონფლიქტური სიტუაცია იქმნება, როცა ადარებენ სხვებს ან აქვთ მათ მიმართ მაღალი მოთხოვნები. ასევე, როცა მარცხდებიან ან მათ შრომას არასათანადოდ აფასებენ. კონფლიქტურ მდგომარეობაში ვარდებიან, როცა არიან ფიზიკური ან ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ. როცა დასცინიან და როცა გარემო პირობები ეცვლება. კონფლიქტური სიტუაციის საპასუხოდ მოზარდები იშვიათად ან საერთოდ არ აპროტესტებენ შექმნილ მდგომარეობას. მათი პროტესტის რეაქციები ვლინდება არა სამაგიეროს გადახდით ან შეპასუხებით - არამედ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ავადმყოფობით.

ასეთ ადამიანებთან ურთიერთობისას, მოზარდებს უნდა შევუქმნათ გარემო, სადაც თავს თავდაჯერებულად იგრძნობს, ამით მას გამბედაობაც მოემატება. წარმატებისათვის უნდა შევაქოთ - ასევე უნდა მივცეთ უფრო მაღალი შეფასება, ვიდრე იმსახურებს, რათა აუმაღლდეთ თვითრწმენა. მათ მიმართ უნდა ვიყოთ კეთილგანწყობილები და უნდა მივცეთ საშუალება გეგმაზომიერად იმუშაონ და

დაისვენონ. ასევე ასეთმა მოზარდებმა უნდა მიიღონ შეჯიბრებებში მონაწილეობა რათა შემდგომ თავიდან აიცილონ აფექტური სიტუაციები.

შიზოიდური ტიპის ადამიანებისათვის ძირითადად დამახასიათებელია საკუთარ თავში ჩაკეტილობა, გარიყულობა, ინტუიციის და ემოციური გაგების ნაკლებობა. მათთვის დამახასიათებელია მარტო ყოფნა და არ აქვთ თანაგრძნობის უნარი. მათ შეუძლიათ ზედამხედველობის და მორჩილების ატანა. უმეტესად კი დროს ატარებენ უფროსებთან, სადაც თავისთვის ჩუმად ყოფნა შეეძლება. მიუხედავად ასეთი თითქოს მორჩილი ხასიათისა, ისინი არავის აძლევენ უფლებას შეიჭრან მათ შინაგან სამყაროში და ყოველთვის ხაზს უსვამენ მათ დამოუკიდებლობას. მათი ხასიათის ძლიერ მხარეს წარმოადგენს სიმყარე საკუთარ საქმიანობასა თუ ინტერესებში, არის სერიოზული, დინჯი, რაციონალური გადაწყვეტილების მიღებისას, ღრმა ცოდნის მიღება იმ საკითხებში, რაც მას იტაცებს. იგი ისწრაფვის სიზუსტისაკენ და შეუძლია დიდხანს მარტო მუშაობა. მათი ხასიათის სუსტი მხარეა ემოციური სიცივე და ჩაკეტილობა. შიზოიდურ მოზარდებს კონფლიქტური სიტუაცია ექმნება იქ, სადაც არაფორმალური ემოციური კავშირის დამყარებაა საჭირო. როცა ვინმე მათ სულიერ სამყაროში იჭრება და როცა მათი ცხოვრების წესს აკრიტიკებენ. მათი საპასუხო რეაქციები ასეთ დროს შეიძლება იყოს საკუთარ თავში ჩაკეტვა. ისინი პროტესტს დუმილით პასუხობენ და ზოგჯერ უხეშად ეპყრობიან ახლობლებს. (მელიქიშვილი 2013 : 95-96)

შიზოიდური ტიპის მოზარდებთან ურთიერთობისას რეკომენდირებულია, ზედმეტად არ დავიჟინოთ მათთან ურთიერთობა თუ მათ არ სურთ. მათთან ძალიან რთულია ურთიერთობაში შესვლა. უნდა დავეხმაროთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვ აქტივობებში. კერძოდ: მათი ჩრთულობა უნდა მოხდეს კოლექტიურ და ჯგუფურ აქტივობებში, რათა განივითარონ ემოციური კავშირის დამყარების და სხვებთან კომუნიკაციის უნარი. რადგანაც შიზოიდური ტიპის მოზარდები ზედმეტად ჩაკეტილები და ემოციურად ცივნი არიან უნდა მივცეთ ისეთი დავალება სადაც ვინმესთან ერთად მუშაობა მოუწევს ან არ შეეძლება ეს სამუშაო მარტომ შესრულოს - ეს მას დადებმარება ნელ-ნელა სხვებთან კონტაქტის დამყარებაში და მისი ჩაკეტილობისა და ემოციური სიცივის დაძლევაში. თუკი ასეთი ტიპის მოზარდებისათვის მისაღებია ისეთი საქმიანობა, როგორც არ მოითხოვს

ურთიერთობებს - მაინც უნდა შევეცადოთ შეუქმნათ ისეთი გარემო და საზოგადოება ვინც დაეხმარება გადალახოს და სურვილი გაუჩინოს ადამიანებთან ერთად დროის ტარების და მათთან ურთიერთობის.

ლეონგარდის მიერ გამოყოფილი ამ ტიპებიდან მოზარდის მოტივაცია არის განსზღვრული მისი ხასიათის ტიპოლოგიური ნიშნებით. აქ ჩანს, რომ მოზარდის ძირეული მოტივაცია განსაზღვრავს მის ყველა მომედებას და საქციელს. მოზარდთა ფსიქოლოგიური პროფილის დანახვა გაცილებით რთული საქმეა. მაგრამ იმისათვის, რომ შევისწავლოთ მოზარდთა ინდივიდუალური თავისებურებები ფსიქოლოგების მხრიდანაც კი უფრო მეტად მიღებულია გავესაუბროთ მათ და არა რამენაირი ტესტირება ჩაუტაროთ. უნდა დავაკვირდეთ მათ ქცევას და შევისწავლოთ მათი ხასიათი. მასწავლებლებლებისათვის საჭიროა მოზარდთა ინდივიდუალური თავისებურებების გაგება - რათა მათი ურთიერთობა უფრო მეტად პროდუქტიული გახადოს. პედაგოგთა მიერ მოსწავლეების მოსმენის, გაგებისა და დაკვირვების უნარი აძლევს შესაძლებლობას მასწავლებელს თვითონაც ისიამოვნოს სწავლების პროცესით და მოსწავლეებსაც მისცეს შესაძლებლობა გამოავლინონ მათი მაქსიმუმი. (მელიქიშვილი 2013 : 79-97)

თავი IV

მოზარდების სწავლება და მასთან დაკავშირებული პრობლემები

მოზარდობის ასაკი ასევე ფართოდ არის დაკავშირებული სწავლის დონის გაუარესებასთან. მოზარდობის ასაკში კვლევათა მიხედვით ეცემა აკადემიური მოსწრება და სწავლისადმი ინტერესი. ამ პერიოდში სწავლებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემებია: განათლების თავისებურებები - ხშირად მოზარდები არ არიან მზად, რომ სწავლის მეთოდებსა და ხერხებს მოერგონ. მათ სთხოვენ, რომ დამოუკიდებლად და რაციონალურად იაზროვნონ, მიიღონ გადაწყვეტილებები და გამონახონ სხვადასხვა ხერხები სწავლის განმავლობაში. მოზარდებს სთხოვენ მაქსიმალურად აკონტროლოს ცოდნის მიღება და შეფასებები. მაგრამ რეალურად ყველა მოზარდი არ არის მზად, რომ ამ გამოწვევებს გაუმკლავდეს.

გონებრივი სიზარმაცე და ინტელექტუალური უმოქმედობა - ამის მიზეზი ბევრი რამ შეიძლება იყოს, როგორცაა გარემო, სწავლების ნაკლებობა, აღზრდისას უყურადღებობა, შემეცნებითი პროცესის განვითარების შეჩერება, დაბალი მოტივაცია და ა.შ. მოზარდს ამ პერიოდში აზროვნებაში შეიძლება ჰქონდეს სისუსტე, რაც შეიძლება გავლენას ახდენდეს სწავლის დონეზე. ასევე ყურადღების ან მახსოვრობის ნაკლებობა. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი დავაინტერესოთ სწავლით და არ ვაიძულოთ იგი რომ ისწავლოს. მას უნდა მივცეთ მოტივაცია, რაც საფუძველი იქნება მისი სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა.

მოზარდის ინდივიდუალური მახასიათებლები და თავისებურებები - როგორც ვიცით ხასიათის აქცენტუაციისას არსებული პრობლემები და გამოწვევები ბევრია, ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ ეს მოზარდებთან ურთიერთობისას. მოზარდს შეიძლება ჰქონდეს სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები ემოციური აშლილობის ან კიდევ დაბალი თვითშეფასების გამო.

სწავლის მასალებზე ჩამორჩენა - ხშირად იწვევს მოზარდებში ახალი მასალის ვერგაგებას და შემდგომ სირთულეებში გადასვლისას სწავლაზე უარის თქმას.(პეტროვსკი 1977:118-125)

რეკომენდაციები მოზარდებთან ურთიერთობისას

მშობლებისა და მასწავლებლების ამოცანაა გაიგონ, მოზარდთათვის დამახასიათებელი თავისებურებების და მოზარდთან სწორი ურთიერთობის გზების შესახებ.

მოზარდები ნელ-ნელა მიდიან ზრდასრულობისაკენ, მათ ისეთივე სიყვარული, ზრუნვა და ყურადღება სჭირდებათ, როგორც მანამდე ბავშვობაში. მოზარდობაში განვითარების თავისებურების გამო შეიძლება გართულდეს მშობელთან ურთიერთობა. ამ დროს მნიშვნელოვანია უფროსმა (აღმზრდელმა, მშობელმა, მეურვემ) იზრუნოს მოზარდის ემოციურ კეთილდღეობაზე და შეუქმნას უსაფრთხო გარემო. მნიშვნელოვანია, რომ აჩვენოთ სიყვარული. მოზარდის უცნაური ქცევა ხშირად აბნევს მშობლებს, იწვევს ბრახს ან რისხვას, რომლის გაკონტროლებაც რთულია. მშობლებმა უნდა გაუმკლავდეს საკუთარ უარყოფით ემოციებს, უფრო მეტი დრო უნდა დაუთმოს შვილს, უნდა დაინტერესდეს მისი გრძნობებით, ეცადოს მისი პოზიციიდან მოვლენების შესწავლა და შეფასება, იგი გამოხატავდეს სითბოსა და მხარდაჭერას მოზარდის მიმართ. მოზარდებმა უნდა იცოდნენ, რომ მშობლებს ისინი ეყვარებათ ყველაფრის მიუხედავად, როგორც არ უნდა მოიქცნენ ან იყვნენ ისინი.(კახიანი 2010:57-59)

უნდა ვიყოთ მხარდაჭერნი – მოზარდების და უფროსების სიტუაციის შეფასება და მათი პრობლემად აღქმა, ერთნაირი არაა. რაღაც საკითხები, რომელიც მშობლებს შესაძლოა არ ეჩვენებოდეთ მნიშვნელოვნად, მოზარდისთვის ეს არსებითი იყოს. ამიტომაც მოზარდებს სჭირდებათ ძლიერი დასაყრდენი უფროსის სახით. უნდა ვაჩვენოთ მხარდაჭერა აღნიშნულ სირთულეებთან გასამკლავებლად.

უნდა დაუწესოთ შეზღუდვები – მოზარდებს სჭირდებათ ჩამოყალიბებული გარემო, სადაც მოქმედებს გარკვეული წესები, როცა უფროსნი თანმიმდევრულად ემორჩილებიან ამ წესებს და იგივეს ითხოვს სხვებისგანაც - ასეთი მოწესრიგებული, წინასწარ განსაზღვრული გარემო, მნიშვნელოვნად განაპირობებს მოზარდების ემოციურ სიმშვიდეს, კეთილდღეობას. მშობლები, რომლებიც აწესებენ კარგად

განსაზღვრულ შეზღუდვებს მოზარდთათვის, აკონტროლებენ ამ წესების შესრულებას და ხსნიან მათ მიზეზებს, უკეთესად ახერხებენ თავიანთ შვილებთან ურთიერთობას და ნაკლები პრობლემები აქვთ მათთან.

იყავით მაგალითი მოზარდთათვის – მოიქცით ისე, როგორც გინდათ რომ თქვენი შვილები ხასიათდებოდნენ. გამოავლინეთ სასურველი ქცევები, რადგან ქმედება უფრო მეტს ამბობს თქვენზე, ვიდრე სიტყვები. დაუწესეთ საკუთარ თავს ქცევისა და მორალური ქმედების მაღალ სტანდარტები, შვილებიც შეეცდებიან, რომ მოგბაძონ.

უნდა ასწავლოთ იყვნენ პასუხისმგებლიანები – ადამიანები არ იბადებიან პასუხისმგებლობის გრძნობით. იგი ყალიბდება გამოცდილების შედეგად მოზარდობის განმავლობაში. მათ განუსაზღვრეთ გარკვეული ვალდებულებები (როგორცაა - დაგეხმაროთ სახლის დალაგებაში ან შინაური ცხოველების მოვლაში, კერძის მომზადებაში) და აუცილებლად წაახალისეთ მისი შესრულებისას.

მიეცით მრავალფეროვანი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა და საშუალება – მოზარდობა არის გამოცდილების მიღების ხანა, ამ დროს ჩნდება სხვადასხვა ინტერესები. მათ საშუალება უნდა მიეცით დაინტერესდეს სხვადასხვა სფეროთი, გამოსცადოს საკუთარი შესაძლებლობები, დაკავდეს სპორტით და აკადემიური და შემოქმედებითი საქმიანობით. უნდა წავახალისოთ გაეცნონ სხვადასხვა კულტურის, რელიგიის, ადამიანთა შესახებ ინფორმაციას.(კახიანი 2010:62)

უნდა გამოვხატოთ კმაყოფილება – უფრო ადვილია უკმაყოფილების გამოხატვა, ვიდრე კმაყოფილების. მოზარდთა ასაკობრივი თავისებურებებით გამოწვეული ემოციური დამაბულობის გამო კი მოზარდს სჭირდებათ მათი ინდივიდუალობის აღიარება და დაფასება. შესაბამისად, უნდა შევეცადოთ შევხედოთ სიტუაციებს მოზარდის თვალთ, გავაცნობიეროთ მათი საჭიროებები და ფიქრები. წავახალისოთ მათი ქმედება, რათა მოიქცეს სწორად.

ადრეული მოზარდობისას ნებისმიერი კითხვა შესაძლოა აღიქვან, როგორც მათზე კონტროლის მცდელობა ან მათი დამოუკიდებლობის შელახვა. მოზარდთან ურთიერთობა ადვილია თუ მისი ბავშვობის განმავლობაშიც მშობელი აქტიურად ცდილობდა კომუნიკაციას, საუბარს ან მისი აზრების მოსმენას. მნიშვნელოვანია

უცებ ვთქვათ მეშვიდე კლასში, პირველად არ დაისვას შეკითხვა: თუ სად იყავი და რას აკეთებდი მეგობრებთან ერთად?. უნდა ვეცადოთ ვიურთიერთოთ, ვესაუბროთ შვილებს ადრეული ბავშვობიდან.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ არ არსებობს წარმატებული კომუნიკაციის მზა მაგალითი – ყველა ადამიანი ერთმანეთისგან განსხვავდება. შესაბამისად, მოზარდებთან ძალიან ფრთხილად უნდა შევარჩიოთ კომუნიკაციის ის ენა და ისეთი სასაუბრო გარემო, რაც ყველაზე ეფექტური აღმოჩნდება მოზარდთან ურთიერთობისას.

უნდა მოუსმინოთ მათ – ეს რთული პროცესია და არ გულისხმობს სხვისი საუბრისას უბრალოდ ჩუმად ყოფნასა და ყურის დაგდებას. მნიშვნელოვანია ვაკონტროლოთ სახის მიმიკები, ჟესტები. უნდა ვიყოთ მაქსიმალურად მხარდამჭერი და ყურადღებიანი მსმენელები. მოზარდმა უნდა მიხვდეს, რომ თქვენ ცდილობთ გაიგოთ მისი ემოციები და დარდები. მოზარდს არ მოეწონება ჩვენთან საუბარი, თუ ამ დროს სადილს ვამზადებთ, ან სხვა საქმით ვიქნებით დაკავებული, თუ დროდადრო ვაფიქსირებთ საკუთარ აზრს, თუ გამოვხატავთ უკმაყოფილებას მიმიკით ან სხეულის მოძრაობით.(კახიანი 2010:82-83)

განვსაზღვროთ უნდა საუბრისთვის შესაბამისი დრო – მოზარდებს არ მოეწონებათ თუ ჩვენ განვუსაზღვრავთ საუბრისთვის დროსა და ადგილს. მივცეთ უნდა საშუალება მათ თავად გამოხატონ ინიციატივა, შეარჩიონ შესაბამისი დრო და ადგილი. უნდა ვიყოთ მომთმენნი და მივყვეთ მათ ინდივიდუალური ცხოვრების რიტმს.

უნდა ვეცადოთ მწვავე ემოციური რეაგირების თავიდან აცილებას – ხმამაღლა საუბარი ან ყვირილი ხელს შეუშლის საუბრის მიმდინარეობას და სამომავლოდ კომუნიკაციის გაგრძელების პროცესს. ვეცადოთ ემოციების, შფოთვის გაკონტროლებას. თავი შევიკავოთ მოვლენების შეფასებისგან.

ვისაუბროთ იმ თემებზე, რაც მნიშვნელოვანია მოზარდისთვის – მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს შორის საუბარი მხოლოდ უკიდურეს და მტკივნეულ თემებს არ შეეხებოდეს. გულწრფელი ინტერესით უნდა გავეცნოთ მათ შეხედულებებს და ემოციებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია, რომ ყურადღებით შევარჩიოთ სასაუბრო თემა და კითხვის დასმის ფორმაც. უნდა დავუსვათ უფრო კონკრეტული შეკითხვები. უნდა ვესაუბროთ დაგეგმილ ოჯახურ მოგზაურობაზე, ღირებულებებზე, იმედებზე ან სამომავლო გეგმებზე, მიმდინარე საზოგადოებრივ მოვლენებზე და სხვა. ყურადღებით მოვისმინოთ უნდა მისი აზრიც. ამ ტიპის საუბრების გამოცდილება დაგვეხმარება დაძაბულ ვითარებაში მოზარდთან საერთო ენის გამონახვაში.

საუბრის დროს უნდა გამოვხატოთ პატივისცემა – მაშინაც, თუ უხეშად მოგვმართავს, შევეცადოთ შევინარჩუნოთ სიმშვიდე და ჩვენვე ვუპასუხოთ მეტი პატივიცემით. შენიშვნის მიცემის დროსაც ყურადღებით შევარჩიოთ მიმართვის ფორმა.

მოზარდებს სურთ თავად მიიღონ გადაწყვეტილება, არ უნდათ იყვნენ უფროსებზე დამოკიდებულნი. ძნელია განსაზღვრო რისი უფლება უნდა მისცენ მშობლებმა და რა აუკრძალონ მოზარდს. მაგრამ უნდა დავაწესოთ შეზღუდვები – ყველა მოზარდი აპროტესტებს შეზღუდვებს, მაგრამ ამავდროულად ბევრად კომფორტულად გრძნობენ თავს წინასწარგათვლილ გარემოში, სადაც იციან რას ითხოვენ მათგან და რა შედეგი მოჰყვება ამა თუ იმ ნაბიჯს. შევათანხმოთ უნდა სიტუაციები, სადაც მას დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება ექნება და საკითხები, სადაც თქვენი ჩარევაა აუცილებელი.

ნათლად უნდა ჩამოვაცალიოთ ჩვენი შეხედულებები – მოზარდები უკეთესად რეაგირებენ მითითებებზე, როცა ხშირად ესმით ერთი და იგივე. ასევე მაშინ, როცა მშობლები განუმარტავენ თუ რა არის თავიანთი მოთხოვნების მიზეზები.

უნდა მივცეთ არჩევანის საშუალება და ნელ-ნელე გაუზარდოთ დამოუკიდებლობის ხარისხი – დასაწყისისთვის შეგვიძლია მივცეთ პატარა დავალებები და მათი პასუხისმგებლობით შესრულებისთვის დავაჯილდოვოთ მეტი დამოუკიდებლობით.

უნდა ვიზრუნეთ მოზარდთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე – მოზარდებს უჭირთ გააცნობიერონ, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეები მათაც შეიძლება დაემართოთ. ამიტომაც, ვესაუბროთ უნდა და გავაცნოთ ყველა ის საფრთხე, რის წინაშე დადგომაც შესაძლოა მოუხდეს. ასევე უნდა

ვასწავლოთ გზები, როგორ შეეცადონ ჯანმრთელობის პრობლემების თავიდან არიდებას, აგრეთვე სწორად მოქმედებას და მათთან გამკლავებას.

უნდა ვუთხრათ უარი, როდესაც ეს აუცილებელია – ძირითადად უნდა მივცეთ არჩევანის საშუალება, თუმცა საჭიროა გამოვიყენოთ კატეგორიული „არა“ იშვიათად. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სერიოზულ საფრთხეს უქმნის მის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ან მომავალს. ხშირად ვესაუბროთ მოზარდებს ქცევის შედეგებზე მომავალში. რატომ არის მნიშვნელოვანი და საჭირო სკოლაში სიარული და სწავლა? ადამიანებთან ურთიერთობა? ნიკოტინის, ალკოჰოლის მოხმარებისგან თავის შეკავება და სხვა.

უნდა მივცეთ თავისუფლება, მაგრამ უნდა შევინარჩუნოთ კონტროლი – ძალიან რთულია ზღვარის განსაზღვრა, თუ მშობელმა სად არ უნდა მისცეს ზედმეტი თავისუფლება ან პირიქით ზედმეტად არ შეზღუდოს მოზარდი. მოზარდებს ესაჭიროებათ მრავალფეროვანი გამოცდილება, მოზარდებმა უნდა გამოსცადონ თავიანთი თავი სხვადასხვა როლში და მდგომარეობაში, მიიღონ საკუთარი ქცევის შედეგები, აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე და ეცადონ შეცდომის გამოსწორებას. მოზარდთან სწორი კომუნიკაციით აღმზრდელმა უნდა მოახერხოს საფრთხეების შესახებ მათი გაფრთხილება. უნდა ასწავლოს მათი თავიდან არიდება და საფრთხის გარდაუვლად დადგომის შემთხვევაში სწორი მოქმედება. მოზარდი სრულიად მომზადებული უნდა დახვდეს შესაძლოა პრობლემურ მდგომარეობას და იცოდეს იქ სწორი მოქმედების გზა. მშობელმა, მასწავლებელმა, მეურვემ უნდა ასწავლოს მოზარდს, თუ როგორ უნდა მოიქცეს მაშინ, როცა ალკოჰოლის მიღებას შესთავაზებენ, იმ შემთხვევაში, როცა კანონის დარღვევით მოქმედებას შესთავაზებენ ან შეესწრება სხვაზე ძალადობის შემთხვევას და ა.შ.(კახიანი 2010:109-111)

მოზარდების თანატოლებთან ურთიერთობა მეტწილად განსაზღვრავს მოზარდების თვითშეფასებას და ცხოვრების სტილს – ის თუ როგორ გაატარებს დროის უმეტეს ნაწილს, რა ადგილებს მოინახულებს ყველაზე ხშირად, როგორ მოიქცევა იგი საჯარო ადგილებში და სხვა. თუ მოზარდს უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა, მას უყალიბდება დაბალი თვითშეფასება, მოზარდი უფრო ცუდად

სწავლობს სკოლაში და ბევრი ემოციური პრობლემის წინაშე დგება ამ პერიოდში. უმნიშვნელოვანესია, მოზარდს თანატოლებთან ჯანსაღი ურთიერთობები ჰქონდეს. ასევე არსებობს რისკი ჩაგვრის, უარყოფითი ზეგავლენის, სახიფათო ქმედებებისკენ მოწოდებისა და მიდრეკილებების - საიდანაც გამოსავალია: მშობელმა ადრეული ასაკიდან აქტიურად უნდა იურთიერთოს ბავშვთან. მშობელი უნდა ეცადოს ხელი შეუწყოს სწორი ღირებულებებისა და ხედვების ჩამოყალიბებას. გარდატეხის პერიოდში მოზარდი თვითონ აირჩევს მეგობრებს ამ ღირებულებების გათვალისწინებით. უნდა გავიცნოთ მოზარდის მეგობრები და გამოვნახოთ გზები მათთან ურთიერთობისთვის. უნდა გავიცნოთ მათი მშობლები, რაც დაგვეხმარება მათი ღირებულებების და ხედვების გაგებაში.

მოზარდს უნდა ვესაუბროთ მეგობრებზე და მეგობრობაზე. მათ უნდა შეძლონ სიტუაციის სწორი ანალიზი და შეფასება, საჭიროების შემთხვევაში უნდა იცოდნენ სხვისი აზრისთვის წინააღმდეგობის გაწევა და სწორი არჩევანის გაკეთება.

მოზარდს უნდა ვასწავლოთ სახიფათო სიტუაციიდან თავის დაღწევის გზები. წინასწარ ესაუბრეთ იმ შესაძლო სახიფათო სიტუაციებზე, სადაც შესაძლოა აღმოჩნდეს და გავაცნოთ გზები, როგორ შეძლოს თავის დაღწევა. ვასწავლოთ როგორ მოიქცეს 14 წლის გოგონა, როცა მეგობარი წვეულებაზე სასმელს ან მოსაწევს მოიტანს. 12 წლის ბიჭს ვასწავლოთ როგორ მოიქცეს, როცა მეგობარი სკოლის გაცდენას სთავაზობს. არ არსებობს მზა განსაზღვრული დოგმა, თუ სად როგორ მოიქცეს. ჩვენ მხოლოდ გარეგანი რჩევები შეიძლება მივცეთ და დავუხსნათოთ ზოგადი გარემო თუ რა როგორ ხდება. ზოგჯერ მოზარდი თვითონ შეძლებს სახიფათო სიტუაციის ამოცნობას და შესაბამისად რეაგირებას. თუმცა, მას უფრო მეტად გაუადვილდება სწორად მოქმედება, როცა ამის შესახებ უკვე უსაუბრია მშობელთან.

უნდა ვიყოთ მეგობრები მოზარდებისათვის – როცა მოზარდი ხედავს, როგორ ურთიერთობენ მშობლები ერთმანეთთან და მეგობრებთან, ეს მათთვის არის მაგალითი, რაც ყველაზე კარგი გზაა სწორი ქცევის სასწავლებლად.

თანამედროვე სამყაროში მნიშვნელოვანია ინტერნეტთან, ტელეფონთან თუ კომპიუტერულ საშუალებებთან ურთიერთობა. ჩვენ უნდა დავებნაროთ მოზარდს აღნიშნული დროის რეგულირებაში, ამ საშუალებათა მოხმარების დადებითი

ეფექტების გამოყენებაში და უარყოფითის თავიდან არიდებაში. კომპიუტერულ ტექნიკასთან გატარებული დროის ხანგრძლივობა უნდა მოვალეობით საზღვრებში. მაგრამ თუ სრულიად აკრძალავთ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებას, ეს გაამწვავებს მისდამი ლტოლვას. მნიშვნელოვანია წინასწარ შევათანხმოთ დროის ის ხანგრძლივობა, რომელიც მოზარდმა შეუძლია გაატაროს ტელევიზორთან, ინტერნეტ სივრცეში ან კიდევ ითამაშოს ვიდეო-თამაში. შევისწავლოთ უნდა ის გადაცემები, კომპიუტერული თამაშები, რითაც მოზარდი ინტერესდება. მისი ინტერესების შესახებ ცოდნა დაგვეხმარება მასთან საერთო ენის გამონახვაში და სასაუბრო თემების არსებობაში. ასევე, დროულად შევძლებთ ამოვიცნოთ საფრთხე. ხშირად უნდა ვუყუროთ ფილმს ან მოუსმინოთ მუსიკას მასთან ერთად, რაც მოგვცემს მეტი დროის გატარების საშუალებას მასთან და ამასთან ერთად გავერკვევით მის ინტერესებში. მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით მოზარდს გავუზიაროთ ჩვენი ინტერესები. მივაწოდოთ იდეები საინტერესო გადაცემებსა თუ გვერდებზე და მათთან ერთად განვიხილოთ ისინი. შევზღუდოთ წვდომა სახიფათო შინაარსის პროგრამებზე – ვაკონტროლოთ, რომ მოზარდს არ ჰქონდეს წვდომა ისეთი შინაარსის მასალაზე, რასაც შეუძლია ცუდად იმოქმედოს მის მიერ მოვლენების შეფასებაზე ან მის ემოციურ მდგომარეობაზე. უნდა მივაწოდეთ ინფორმაცია უცნობ ადამიანებთან ინტერნეტით ურთიერთობის უარყოფითი მხარეების შესახებ.(დეკურტნისი 2016:231-235)

მნიშვნელოვანია შევსთავაზოთ სხვადასხვა გართობის საშუალებები ინტერნეტსივრცის გარდა – ვიაროთ ლაშქრობებში, პიკნიკზე, ექსკურსიებზე. მათ უნდა მიეცით მრავალფეროვანი გამოცდილება და უნდა ვიზრუნოთ მიიღოს სიამოვნება ამ პროცესით. მათთვის უნდა ვიყოთ მაგალითი – როცა მოზარდი ხედავს, რომ მისი მშობლები მუდმივად არიან ინტერნეტთან ურთიერთობის პროცესში, როცა მეგობრებს უგზავნიან შეტყობინებებს ან უყურებენ ტელევიზორს და ა.შ. თავადაც იგივეს იმეორებენ. როცა ზრდასრულები აქტიურად ურთიერთობენ ერთმანეთთან და მოზარდებთან, ამ შემთხვევაშიც ისინი ბაძავენ უფროსებს.

მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ მშობლების დამოკიდებულება სარისკო ან რაციონალური ქცევების მიმართ, შვილებისადმი მათი ყურადღების დონე, მიმღებლობა ან გულდასმით მოსმენა ეხმარება მოზარდებს სოციალურად მისაღები

ქცევის არჩევაში, აზროვნებისა და მიდრეკილებების ჩამოყალიბებაში. როცა მაღალი შფოთვა აქვს მოზარდს, როცა უფრო მეტად არის უკმაყოფილო საკუთარი თავით, როცა უფრო ნაკლები ან ანტაგონისტური ურთიერთობა აქვს მშობლებთან, როცა უფრო ნაკლებად აქცევენ ყურადღებას მის ემოციებს ან აზრებს, ნაკლებად უსმენენ და მსჯელობენ მოზარდთან, მით უფრო მეტია მის მიერ სარისკო ქცევების განხორციელების ალბათობაც.

უნდა ახსოვდეთ მშობლებს, რომ მართალია ისინი არიან ბავშვის მშობელი, მაგრამ მათთან ურთიერთობისას მეგობრული უნდა იყვნენ. მოზარდთან უკონფლიქტო, გულდია და ახლო ურთიერთობა არ გულისხმობს მასთან სრულ მეგობრობას. მშობელს, მასწავლებელს, აღმზრდელს - არასრულწლოვანზე პასუხისმგებლობა აქვს აღებული, რასაც მოზარდი კარგად უნდა აცნობიერებდეს.

მოზარდზე ზეწოლა, ჩხუბი და მუქარა ყველაზე გამოუსადეგარი და ცუდი სტრატეგიაა, რადგან სრულიად საპირისპირო შედეგი მოაქვს. ამ დროს მოზარდი კიდევ უფრო იკეტება და გვმორდება, იგი უფრო მეტად დაუმორჩილებელი და ჯიუტი ხდება. უნდა მოვუსმინოთ, მოზარდი რას და როგორ გვეუბნება. არ უნდა მოვიმიზეზოთ ჩვენი საქმეები და მხოლოდ ჭკუის დარიგებით არ უნდა შემოვიფარგლებოდეთ. ჭკუის სწავლების ნაცვლად უნდა ვცადოთ სხვა ალტერნატივა და წავახალისოთ არჩევანი თვითონ გააკეთოს, როგორ სჯობს ამა თუ იმ სიტუაციაში მოქცევა. მოზარდისთვის მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილებას თვითონ იღებდეს, თუმცა ჩვენთან არგუმენტების და დისკუსიის გავლენით შეიძლება დაკარგოს ეს უნარი ან არასწორი შედეგები მიიღოს. მასთან დისკუსია უნდა გავმართოთ კონკრეტულ საკითხებზე. მაგრამ მსჯელობა არგუმენტირებული უნდა იყოს. აუცილებლად უნდა მოვცეთ მოზარდს აზრის გამოხატვის საშუალება და მოვთხოვოთ ასევე არგუმენტები. ასეთი საქციელი ამცირებს წინააღმდეგობას და აადვილებს კეთილგონიერი არჩევანის გაკეთების შანსს.(დეკურტნისი 2016:253-260)

ღია კონტროლი მეტად გამაღიზიანებელია დამოუკიდებლობის სურვილის მქონე მოზარდთათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მათ ვასწავლოთ თავისი წილი პასუხისმგებლობები და მოვალეობები. ერთობლივი შეთანხმებით მან დამოუკიდებლად უნდა შეძლოს გააკეთოს ბევრი რამ. მათ უნდა მოემსახურონ საკუთარ თავს, დაგვეხმარონ საოჯახო საქმეში, მოამზადონ საშინაო

დავალეები. ჩვენი მხრიდან კი ეს წახალისებული და დაჯილდოებული უნდა იყოს. როცა მოზარდი მოვალეობებს შეასრულებს, არ უნდა დავიშუროთ შექება და დადებითი შეფასება.

ზოგიერთ საქციელზე უნდა დავაწესოთ შეზღუდვები. მაგრამ მოზარდს ყველაფერზე შენიშვნას ვერ მისცემთ და ვერც მუდმივად ვაკონტროლებთ. აუცილებელია, რომ მოზარდმა იცოდეს, თუ რა ქცევას მოელიან მისგან ოჯახში პრობლემურ საკითხებთან მიმართებაში: ან თუნდაც კომპიუტერზე თამაშისას, სახლში მისვლისას, გასართობ დაწესებულებებში წასვლის დროს. უცნაურია, მაგრამ ასეთი შეზღუდვების დაწესება მოზარდისათვის მისაღებია, რადგან ეს იმის მანიშნებელია, რომ ჩვენ მასზე ვზრუნავთ და გულგრილი არ ვართ. მაკონტროლებელი ფრაზების ნაცვლად გვჭირდება უბრალოდ, დაველაპარაკოთ მოზარდს ცხოვრებაზე, ჩვენს გამოცდილებასა და შეცდომებზე, მისივე ემოციებზე - რას გრძნობს და რას განიცდის სხვადასხვა მომენტში. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მოზარდის კარგი ქცევა, კონკრეტული მიღწევები და ა.შ. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, მასწავლებლის, მშობლის, მეურვის და ა.შ. შემთხვევაში არ მოვახდინოთ ერთი კონკრეტული მოზარდის მუდმივი გამორჩევა თანაკლასელებიდან, და-ძმებიდან არც ცუდ და არც კარგ საქციელში.

მოზარდებს თვითდაჯერება აკლიათ ხოლმე, დაბალი თვითშეფასების ტენდენცია ახასიათებთ და მნიშვნელოვანია ჩვენი დადებითი შეფასება. მოზარდის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვისა და მშობლებთან გაუცხოების მიუხედავად, მისთვის მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახურ ურთიერთობას, ერთობლივ, ხალისიან და თბილი სადამოყრდენს, ოჯახური სადილს ან გასეირნებას, მეგობარ ოჯახებთან ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებას. ეს უძლიერებს თავდაჯერებასა და უსაფრთხოების განცდას, ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობს მის უფროსებთან კომუნიკაციას, ამცირებს წინააღმდეგობასა და დაპირისპირებას ერთმანეთში და გონებაშიც.

მოზარდებს საშუალება უნდა მივცეთ იმსჯელონ თავისი განცდების შესახებ და იპოვონ პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიული გზები. ხელი უნდა შევუწყოთ მოზარდს, საკუთარი ინტერესების მიხედვით დაკავდეს კლასგარეშე საქმიანობით. გარდატეხის ასაკის ბავშვებისათვის ძალიან სასარგებლოა სპორტი, ხელოვნების,

პროექტების და საგამომგონებლო წრეების არსებობა, სადაც ისინი მათ მოზღვავებულ ენერგიას დახარჯავენ.

არის შემთხვევები, როცა მოზარდი, უმეტესწილად, ვერ ან არ ავლენს გარდატეხის ასაკისათვისათვის დამახასიათებელ ასაკობრივ თავისებურებებს, ამ დროს სასურველია მივმართოთ სპეციალისტს, რათა მივიღოთ ინდივიდუალური კონსულტაცია. სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების თანახმად, მშობლების ჩართულობასა და თანამშრომლობას ბავშვის განათლების სისტემასა და აქტივობებში ისეთ შედეგებამდე მივყავართ, როგორიცაა: გაზრდილი აკადემიური მოსწრება, ძლიერი თვითრეგულაციის უნარი, დისციპლინური პრობლემების კლება, მეცადინეობის უკეთესი ჩვევები, უფრო დადებითი დამოკიდებულება სკოლისადმი, საშინაო დავალების შესრულების და პასუხისმგებლობის გაუმჯობესებული ჩვევები, პროფესიული მიმართულებებით დაინტერესება და უმაღლესი განათლებისაკენ მიდრეკილება. გარდა ამისა, დადებითი გავლენა ვლინდება მშობელზე, მასწავლებელსა და თავად სკოლაზეც. მშობლები უფრო მეტად მგრძნობიარენი და ყურადღებიანები ხდებიან ბავშვის სოციალურ, ემოციურ და ინტელექტუალურ საჭიროებების მიმართ. უკეთესად ესმით მასწავლებლის სამუშაოს, მის მიერ გამოყენებული სასწავლო გეგმის არსი; უფრო ძლიერი კავშირი ყალიბდება და უფრო მეტი წვლილიც შეაქვს სკოლის საქმიანობაში. მასწავლებელი უფრო მეტ მორალურ ვალდებულებას გრძნობს და მეტ პატივისცემას იღებს მოზარდთა მხრიდან. უკეთესი ურთიერთობა ყალიბდება მშობელს, მასწავლებელსა და ადმინისტრაციას შორის.(ადლერი 2014:147-152)

კვლევების მიხედვით, როგორი განათლებაც არ უნდა ჰქონდეს თავად მშობელს მიღებული, როგორი სოციალური ან ეკონომიკური მდგომარეობის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს ის, მისი ჩართულობა აუცილებლად ახდენს დადებით გავლენას მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე.

აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა მოზარდს სურს რომ უყვარდეთ - თითოეული მოზარდი წარმოადგენს პიროვნებას თავისი უნიკალური ხასიათითა და ინტერესებით, მაგრამ ყველა მოზარდს აქვს რაღაც საერთო წერტილი. მნიშვნელობა არ აქვს იმას, რამდენად დაგშორდათ თქვენი შვილი ან რამდენად დამოუკიდებელი

გახდა ის და რა ქცევას ავლენს - მას სჭირდება თქვენი სიყვარული, მზრუნველობა და მხარდაჭერა.

უნდა გაიგოთ, როგორ ვითარდება მოზარდი - იგი შეიძლება იყოს მაღალი და თავის ასაკზე უფროსად გამოიყურებოდეს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ის ჯერ ვერ აზროვნებს უფროსის მსგავსად.

არასასურველი ქცევის მიზეზი შეიძლება მრავალი რამ იყოს - იყოს ცვლილებები ჰორმონალურ სისტემაში. ეს არ ამართლებს მის არასასურველ ქცევას და არ ათავისუფლებს მოზარდს პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ ეს ხსნის მის იმპულსურობას, ბრაზს, შფოთვას და ურჩობას, რასაც ის ჩადის.

ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ მოზარდობის ასაკში იცვლება დამოკიდებულება გარე სამყაროსთან. მოზარდის ტვინი გადაამუშავებს ინფორმაციას ზრდასრული ადამიანის ტვინისგან განსხვავებულად. ბევრ მოზარდს უჭირს სიბრაზესთან გამკლავება და ამიტომ ისინი ხშირად ნიღბავენ მას მრავალი სხვა ემოციით, როგორცაა - მორიდება, სევდა, შიში, სირცხვილი, გამომწვევი ქცევა და სხვა. როდესაც მოზარდს არ შეუძლია საკუთარი გრძნობების მართვა, მან შეიძლება განახორციელოს ისეთი ქცევა, რომელიც სახიფათო შეიძლება იყოს მისთვის ან სხვა ადამიანებისთვის. მოზარდებს ასევე უჭირთ საკუთარი ბრაზის გაცნობიერება ან მისი გამოხატვა მისაღები გზით და დახმარების თხოვნა. მათ უნდა დაეხმარონ მოზარდებს ემოციებთან გამკლავებაში და ასწავლონ მათ მისი კონტროლი. (ადლერი 2014:173-175)

რჩევები, რომლებიც გამოგადგებათ მოზარდებთან ბრაზის კონტროლისათვის:

- ბრაზისათვის კარგია ფიზიკური ვარჯიშები - სირბილი, ველოსიპედით სეირნობა, სპორტი, ცეკვა, სიმღერა, ხატვა, ძერწვა, წერა.
- გამოუყავით დამშვიდების სივრცე მოზარდებს, როცა მოზარდი გაბრაზებულია, მას სჭირდება უსაფრთხო ადგილი, სადაც ის შეძლებს დამშვიდებას.
- არ უნდა გაჰყვეთ უკან ამ დროს მოზარდს, არ უნდა მოსთხოვოთ ბოდიშის მოხდა ან განმარტება, მანამ სანამ გაბრაზება არ გაუვლის - ეს

კიდევ უფრო გაამძაფრებს სიტუაციას და შეიძლება მეტი აგრესიაც გამოიწვიოს.

- არ უნდა აუკრძალოთ მას გრძნობების გამოხატვა.
- არ გაკიცხოთ გრძნობების გამო, ისწავლეთ საკუთარი ბრაზის მართვა. ვერ დაეხმარებით მოზარდს მაშინ, თუ თქვენ თვითონ გიჭირთ საკუთარი ემოციების მართვა. ნებისმიერ დროს თქვენ უნდა შეინარჩუნოთ გარეგნული სიმშვიდე, მიუხედავად მოზარდის პროვოკაციებისა.
- თუ ოჯახში მიღებულია ყვირილი, საგნების გადაგდება, მოზარდი სწავლობს, რომ ასეთი გზით ბრაზის გამოხატვა მისაღებია.
- თანამშრომლობის მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მოზარდმა იცოდეს ჩვენი უპირობო სიყვარულისა და დაინტერესების შესახებ.
- არ დაიზაროთ - უთხარით, რომ გიყვართ და ყოველთვის გეყვარებათ, უთხარით, რომ შეიძლება არ მოგეწონოთ მისი რომელიმე საქციელი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველთვის გეყვარებათ.
- მოზარდს უნდა უთხარათ, რომ თქვენ ყოველთვის მზად ხართ, მოუსმინოთ მას. ისწავლეთ მოზარდის მოსმენა და გაგება. ამ დროს გახსოვდეთ რომ უნდა შეიკავოთ თავი საკუთარი გრძნობების, ინტერპრეტაციების გამოხატვისაგან.
- მშვიდად მოუსმინოთ მოზარდს სხვა რამეზე ყურადღების გადატანის გარეშე და ეცადეთ ამ დროს არ შეაფასოთ.
- გამოხატეთ ნდობა მოზარდთა მიმართ.
- ეცადეთ ჩაახშოთ თქვენი ზედმეტი ემოციები. თქვენ შეიძლება არ მოგეწონოთ მოზარდის საქციელი, მისი სიტყვები, მაგრამ ეცადეთ მართლაც თქვენი ემოციები.
- მოზარდმა უნდა იცოდეს, რომ შეცდომების დაშვება არ არის საშიში, მთავარია შეცდომა არ იყოს ზიანის მომტანი ვინმესთვის.
- უყურეთ მას, როგორც პიროვნებას და არ მოექცეთ არასათანადოდ.
- ასევე არ უნდა დაიკავოთ თხოვნის პოზიცია, იყავით დამოუკიდებელი.
- მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ როცა ჩვენ საუკეთესო განზრახვებით ვცდილობთ არასასურველი ქცევის ჩახშობას კონტროლითა და დასჯით,

უარესს ვაკეთებთ, რადგან მუდმივი და ყოვლისმომცველი კონტროლი, თავის მხრივ, ახდენს ამბოხის გამოწვევას, ასევე იმას, რომ მოზარდებმა შეიძლება საკუთარ თავში ჩაიკეტონ. ზოგი მშობელი სხვა უკიდურესობაში გადადის და თვლის, რომ კონტროლისა და დასჯის კარგი ალტერნატივაა ყველაფრის უფლების მიცემა. ეცადეთ იზოვოთ ოქროს შუალედი მათ შორის.

- არაფერი არ მოიმოქმედოთ, სანამ ორივენი არ დამშვიდდებით.
- ასწავლეთ პრობლემების გადაჭრა. მის ნაცვლად კი არ აკეთოთ ყველაფერი, არამედ მიეცით მას უფლება გადაჭრას გარკვეული სიტუაციური ამოცანები დამოუკიდებლად, ჰკითხეთ რჩევა მარტივ სიტუაციურ საკითხებთან დაკავშირებით.
- გაიზიარეთ მისი ემოციები.
- დასვით ღია კითხვები, მაგრამ არა დაპირისპირების გამოწვევი.
- აირჩიეთ დიალოგი - მონოლოგის ნაცვლად.
- ჩამოაყალიბეთ წესად ოჯახური შეხვედრების დროს არსებული რთული

სიტუაციების ერთად გადაწყვეტა. თუ მოზარდი უარს ამბობს ასეთ შეხვედრებში მონაწილეობის მიღებაზე - ეს არი ნიშანი იმისა, რომ თქვენი კავშირები დარღვეულია. ამ დროს სასურველია, არ დავაძალოთ მას ამის კეთება.

- უნდა ვისწავლოთ, მოთმინებით მოვეკიდოთ მოსალოდნელ ცვლილებებს.
- გამოვხატოთ დაინტერესება ახალი გატაცებებით, ინტერესებით ვაკეთოთ მათთან ერთად სხვადასხვა რამ და ისევ შეფასების გარეშე.
- მოზარდმა შეიძლება უარი განაცხადოს ამ ყველაფერზე, მაგრამ არ უნდა გაბრაზდეთ, არ დანებდეთ. ზოგჯერ შეიძლება დაიწყოთ იმით, რომ უბრალოდ იჯდეთ მის გვერდით, როცა ის რაღაცას აკეთებს.
- ცვლილებები მალე არ მოხდება და უნდა მოიკრიბოთ მოთმინება და იყავით თანმიმდევრულნი.
- ბევრს მიაჩნია, რომ ცემა არის ბავშვის აღზრდის მნიშვნელოვანი იარაღი. სინამდვილეში, ფიზიკური დასჯა მშობლებისგან საჭიროებს ყველაზე ნაკლებ ჭკუას და უნარებს, ვიდრე ნებისმიერი სხვა აღზრდის ნორმა და

მისი შედეგებიც უფრო საზიანოა ბავშვის განვითარებისთვის, ვიდრე რაიმე სარგებლის მომტანი. ხშირად მშობლები წამორტყმას, ყურის აწევას, თმის მოჭაჩვას და ა.შ არ თვლიან ცემად, ფიზიკურ დასჯად, თუმცა ემოციური და ქცევითი თვალსაზრისით, მსგავს ქმედებას იგივე შედეგი მოჰყვება. არსებობს საფრთხე, რომელიც ფიზიკურ დასჯას ახლავს:

ტკივილთან ერთად ბავშვები გრძნობენ წყენას, სიბრაზეს და იღებენ ემოციურ ტრავმას. მოგვიანებით ეს აუცილებლად აისახება ოჯახურ ურთიერთობებზე. წამოთაქებითა და ბავშვის ცემით მას ასწავლით, რომ თქვენი ემინოდეს. ბავშვები და მოზარდები ითვისებენ ამ მოდელს და თავად სცემენ სხვა ბავშვებს, მოგვიანებით კი საკუთარ შვილებს. ბავშვები სწავლობენ, როგორ აიცილონ ცემა ასაკის მატებასთან ერთად, ისინი სწავლობენ ტყუილის თქმას და განცდების დამალვას, რაც ის არ არის, რისი წახალისებაც მშობელს სურდა. ფიზიკური დასჯით ბავშვმა შეიძლება სერიოზული ტრავმა მიიღოს, ფიზიკურიც და უფრო მეტად ფსიქოლოგიური, რისი გამოსწორებაც, ზოგ შემთხვევაში, შეუძლებელია.

მასწავლებელთათვის ასევე რეკომენდირებულია, რომ ყურადღებით იყვნენ მოზარდთა ცოდნის მიღების ხარისხზე და არა რაოდენობაზე. მათ ისე უნდა წარმართონ სწავლის პროცესი, რომ მოსწავლეთათვის ნიშანი არ იყოს მათი რეიტინგის საფუძველი. არ უნდა მოახდინოთ მოსწავლეთა ქულების საჯაროდ - მთელი კლასის წინაშე გახმაურება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დაცინვა ან ამ მოსწავლეში სირცხვილის, შიშის და სხვა გრძნობა.

მასწავლებელი თავისი დაკვირვებით უნდა მიხვდეს, მოსწავლისათვის რომელი გზა იქნება უკეთესი. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები ერთმანეთს არ შეადაროთ და სასურველია შეადაროთ მხოლოდ მათთსავე თავს. მოსწავლეები სწავლის პროცესში აქტიურად ჩართეთ და დაეხმარეთ მიიღონ მონაწილეობა დისკუსიებში. ხშირად ჩაატარეთ ისეთი გაკვეთილები, სადაც მოსწავლეებს შეუძლიან თავიანთი შემეცნებითი შესაძლებლობები გამოავლინონ. დაეხმარეთ მოზარდებს, რომ აიმაღლონ თავიანთი პოზიტიური თვითშეფასება.

მოზარდობის ასაკში და ზოგადად მთელი ცხოვრების განმავლობაში დაწყებული ჯერ კიდევ ადრეული ბავშვობიდან მოხუცებულობის ჩათვლით

მნიშვნელოვანია ადამიანს ჰქონდეს ფსიქოლოგიური მზაობა საკუთარი მიზნების მიღწევაში თუ ნებისმიერ საქმიანობაში. თუკი მოზარდი ფსიქოლოგიურად მზად არ არის, რომ მასზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულოს იგი ან ძალიან ცუდად შეასრულებს ან საერთოდ ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ეს არის მომენტი როცა მოზარდს აქვს ან არ აქვს საკუთარი თავის რწმენა და მოტივაცია. მოტივაცია განსაზღვრავს მათ სურვილს თუ რამდენად აქვთ მონდომება შეასრულონ რაღაც ან მიაღწიონ სასურველ მიზანს. მასწავლებლებმა, ოჯახმა, გარემომ უნდა შეუქმას ეს მოტივაცია მოზარდებს და წახალისონ, რათა მათ გაუჩნდეთ სურვილი რაიმეს კეთების ან თვითდაჯერება რომ შეუძლიან გაუმკლავდნენ სხვადასხვა სირთულეებს ცხოვრებაში. იქ სადაც შეექმნება თვითდაჯერება და მოტივაცია მოზარდებს იქ შეძლებენ სწორედ, რომ გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი და ეს მაქსიმუმი ისეთი შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს რაც შეიძლება ვერც მას და ვერც გარე დამკვირვებლებს შეეძლოთ წარმოედგინათ. შეუქმნით მოტივაციური გარემო მოზარდებს და ისინი გააკეთებენ საუკეთესოს რათა გაამართლონ თქვენი და საკუთარი იმედები. ფსიქოლოგიური და ცნობილი ამბის თანახმად ადამიანს საკუთარი შინაგანი ბორკილები აკავებს, არასათანადო შეფასება საკუთარი შესაძლებლობებისა და არა რაიმე გარეგანი ძალა. (<https://old.digest.ge/post/209382-saocari-ambavi-dambul-spiloze>)

დასკვნები

- მოზარდობაში სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები გამოწვეულია როგორც ჰორმონების და მოზარდობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ასევე აღზრდისა და გარემოების შედეგად.
- ბავშვს თავიდანვე სჭირდება გარემო და მომზადება რათა მოზარდობისას სიახლეების დროს მისსმა ფსიქოლოგიამ მარტივად გადაიტანოს მიმდინარე მოვლენები. ასევე ბავშვობისას და მოზარდობისას მნიშვნელოვანია, რომ მშობელმა, მასწავლებელმა, აღმზრდელმა, მეურვემ მხარში დაუდგეთ მათ და გაიზიარონ მათი ემოციური მდგომარეობა. დაეხმარონ და აჩვენონ გამოსავალი პრობლემიდან ისე, რომ მოზარდმა იგრძნოს თანადგომა და ზრუნვა და არა ძალდატანება და იძულება.
- მოზარდების სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად აუცილებელია, შეუქმნათ მათ გარემო და შევისწავლოთ მათი ფსიქოლოგია, რათა საჭიროებისამებრ სწორად მოვიქცეთ. მნიშვნელოვანია ვიყოთ რაციონალურები, თბილები, გამგებიანი, მზრუნველი, ზოგჯერ მკაცრი და ა. შ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი ტიპისაა მოზარდი. ამის მიხედვით შეგვიძლია გადავწყვიტოთ, რომელი გზა ავირჩიოთ ასეთ მოზარდთან ურთიერთობებისას. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ არც ზედმეტი ქება ივარგებს და არც გაკიცხვა.
- მასწავლებლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მოზარდთა მდგომარეობა, სასწავლო პროგრამათა სირთულე და იყვნენ მომთმენნი და მზრუნველი მოსწავლეთა მიმართ. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი არა მხოლოდ ერთი კონკრეტული საგნის მასწავლებლები არიან, ასევე მოზარდთათვის ცხოვრების გზის მაჩვენებელნი. ამიტომ ისინი კარგად უნდა გაეცნონ მოზარდთა ფსიქოლოგიას და ფრთხილი და მზრუნველნი იყვნენ მათ მიმართ. მათ შეუძლიათ მოსწავლისათვის იყოს მასწავლებელი, მეგობარი, აღმზრდელი, დამხმარე და ა.შ.

- აუცილებელია კონტროლის გაწევა მოზარდისათვის, რათა მისთვის ამ რთულ პერიოდში არასწორი გზით არ წავიდეს და სწავლაზე სრულებით არ აიღოს ხელი. მაგრამ სულის შემხუთველი კონტროლიც მავნე იქნება მათთვის. ეს უნდა ჰგავდეს მზრუნველობას - როცა აკვირდები, იგებ, გესმის, ზრუნავ და საჭიროების შემთხვევაში ეხმარები ან რჩევას აძლევ.
- მნიშვნელოვანია სწავლის პროცესიც გაუმარტივოთ და გაუხალისოთ მოზარდებს. მათთვის საინტერესო მიმართულებებისკენ გზის გაკავებაში დავეხმაროთ. თუ საჭიროა რამოდენიმეჯერ აუხსნათ ერთი და იგივე საკითხი.
- ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მოზარდები ერთმანეთისგან არ გამოვარჩიოთ სხვის თვალში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სხვა მოსწავლის შური და სიძულვილი.
- მნიშვნელოვანია ყოველი ასპექტის გათვალისწინება, როგორც მასწავლებლების, ისე მშობლების მხრიდან. მათ ადრეულ ასაკშივე უნდა მივცეთ საფუძველი სამომავლო ცხოვრებისთვის და სწორად აღვზარდოთ ისინი, რათა ასეთ პრობლემებს თავი ავარიდოთ მოზარდობისას.
- მოზარდებისათვის უნდა შეიქმნას პირობები სადაც მათი მოტივაცია ამალდება ან უნდა ესაუბრონ მათ ისე სადაც გაეზრდებათ სურვილი სხვადასხვა საქმიანობაში ჩართვის თუ მიზნებისაკენ სწრაფვისა. მნიშვნელოვანია მოზარდის გარემოცვა, ოჯახი, მასწავლებელი, მეგობრები და სხვა მრავალი უქმნიდეს ისეთ ხასიათს სადაც მას მოტივაცია აუმაღლდება. მოტივაციის ამალება მათთვის შეიძლება რაიმე ჯილდოთი, საუბრით, წახალისებით და ა.შ. სწორედ მოტივაციაა ის რომ მათ ამ დროს დაიწყონ შექმნა და ზრუნვა საკუთარი ცხოვრების და მომავლისა. გაანალიზონ და დაიწყონ მიზნისაკენ სწრაფვა. მოტივაციის ქონა და არ ქონა ამ ასაკში განსაზღვრავს მოზარდთა მომავალსა და მიღწევების დონეს.
- უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველაფერი სწავლების შედეგია და ვასწავლოთ მოზარდებს ისე, რომ მათ იყვნენ საკუთარი თავისა და

ცხოვრების განმკარგველნი. ვასწავლოთ დაკვირვების, ანალიზის, შეფასების და საკუთარი აზრის ქონის უნარი. მათ ისე უნდა მოვექცეთ, რომ ისწავლონ, მაქსიმუმის მიღება, როგორც საკუთარი თავისაგან ისე სხვებისაგან. უნდა შეუქმნათ გარემო სადაც მაქსიმალურად პროდუქტიული იქნებიან და ისწავლიან დროისა და შესაძლებლობების სწორ გამოყენებას. უნდა ვასწავლოთ საკუთარი დამოუკიდებლობის ხელში აღების და პასუხისმგებლობის ქონის მნიშვნელობა და მათი გამოყენება.

- უნდა გვახსოვდეს, რომ მოზარდებთან ურთიერთობებისას გარემოსა და გარემოცვაზე დამოკიდებული მათი ფსიქოლოგიური, სოციალური ცხოვრების წარმატების ნახევარზე მეტიც კი და ვიმოქმედოთ ისე, რომ მოზარდებისათვის ხელშესახები გავხადოთ ეს წარმატება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადლერი ა. (2014) ბავშვთა აღზრდა, გეო, თბილისი.
2. ალენი ჯ. (2014) როგორ აზროვნებს ადამიანი, პეგა, თბილისი.
3. გერიგი, ზიმბარდო (2009). ფსიქოლოგია და ცხოვრება, მე-16 გამოცემა. თსუ, თბილისი.
4. დეკურტნისი ლ, (2016) დედიკოს ბიჭი თუ სუპერმენი, რა უნდა იცოდნენ მშობლებმა თავიანთი ვაჟიშვილების შესახებ, წიგნიერი, თბილისი.
5. ვულფოლკი ა, (2007) განათლების ფსიქოლოგია, (მეათე გამოცემა), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
6. ზენტნერი მ. შაინერი რ.ლ. (2012) ტემპერამენტის სახელმძღვანელო, გილფორდ პრესი, ნიუ-იორკი, ლონდონი.
7. თევდორაშვილი დ. (2010) განვითარების ფსიქოლოგია, თბილისი.
8. იმედაძე ი. (2007) ფსიქოლოგიის საფუძვლები, მწიგნობარი, თბილისი.
9. კახიანი ჯ, (2010) ბავშვის სამყარო, ფსიქოლოგიის რჩევები მშობლებს (მეორე სვესებული და გადამუშავებული გამოცემა), შემეცნება, თბილისი.
10. მაყაშვილი მ. (2015) შესავალი ქცევის მექანიზმებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
11. მელიქიშვილი მ. განვითარების ფსიქოლოგია
12. მელიქიშვილი მ. (2013) ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
13. ნათაძე რ. (1989) ფსიქოლოგიის მოკლე კურსი: სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
14. პეტროვსკი ა.ვ. (1977) ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია, განათლება, თბილისი
15. ტაფი პ. (2014) როგორ აღწევინ ბავშვები წარმატებას, შეუპოვრობა, ცნობისმოყვარეობა და ხასიათის უხილავი ძალა, რადარამი, თბილისი.
16. უზნაძე დ. (2015) ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი.
17. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგია (მეოთხე გამოცემა)
18. ფადიმან ჯ. ფრაგერ რ. (1976) Personality an Personal Growth (მეექვსე გამოცემა) Sofia University, კალიფორნია.

19. ხეჩუაშვილი ლ. (2013) პიროვნება, შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში, თბილისი.
20. ჯონსონი ჯ.ი. ქრისტი ჯ.ფ. უორდლი ფ. (2005) თამაში, განვითარება და ადრეული განათლება, პირსონ ედუქეიშენ, ბოსტონი, ნიუ-იორკი, სან-ფრანცისკო, მექსიკო, მონრეალი, ტორონტო, ლონდონი, მადრიდი, მიუნჰენი, ჰონკონგი, სინგაპური, ტოკიო, კეიპტაუნი, სიდნეი.
21. Banks, S.R. (2005). Classroom assessment: Issues and practices. Boston: Allyn & Bacon.
22. B. Wagner ADHD: Current concepts and underlying mechanism. J. of Child and Adolescence Psychiatric Nursing, 2000.
23. C. Temple Developmental cognitive neuropsychology. 1997.
24. Psych.Press, London.
25. C. Trevarthen, K. Aitken Children with autism. Diagnosis and In37
26. terventions to meet their needs. London, 1998.
27. C. Waddell, E. Lipman, D. Offord Conduct disorder: practice parameters for assessment, treatment and prevention. Can. J. Psychiatry, 1999.
28. D. Zaidel Neuropsychology. San Diego, 1994. ch. 10. M. Dennis, M. Barnes Developmental aspects of neuropsychology.
29. H. Steiner, L. Remsing Practice parameter for the assessment and treatment of children and adolescents with oppositional –definat .disorder. J. Am.Acad. Child and Adolesc. Psychiatry 2007.